

# ლიტერატურული გაზეთი

№17 (297) 17-30 სექტემბერი 2021

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

## ვახტანგ ჯავახიძე

### დღეს შეიშრულა 89

მოციქულმა დარეკა და  
შემახსენა პარიტეტი  
და ხართუთა ანჩარივით  
მომასალა კინალამ.  
სადღეგრძელო დამეკარგა:  
— ასე ტკბილად დამიბერდი! —  
ან ავლილი ან ჩავლილი  
ხომ არავის გინახავთ?

### ვიტორ


თუ გინდა, რომ მოწყალეა  
არ მოგაკლოს ხვითომ,  
კარგად უნდა განასხვავო ვითარცა და ვითომ.  
ზოგიერთი ძერწავს, მაგრამ ზოგიერთი თითხნის,  
ღმერთმა უწყის —  
თითქოს უფრო მეტია თუ თითქმის.  
იუველირს შეუძლია თავი მოისაწყლოს,  
მიკროსკოპი ედავება აფთიაქის სასწორს.  
მე კი მინდა სიზმარით ნავიინდივიდო,  
ვითომ საკუთარი თავი ვითომ დავიმშვიდო,  
ვითომ ფეხი ვითომ ფეხზე ვითომ გადავიდო,  
ვითომ მრავალრიცხოვანი გავაშემთხვევითო,  
ვითომ ცისარტყელასავით გავაშვიდო ექვსი  
და მშვიდობით დავასრულო ესე ვითომ ლექსი.

### მეტირება

ახლა ხშირად მეტირება,  
მალე დედა მეტირება,  
შვილი გამომეტირება,  
ნიგნი გამომეტირება,  
წარმატებით დასრულდება  
ჩემი კომპრომეტირება.

### აბაო

ველარ დავასათაურე, ველარ გავაიასნე და  
დე-ფაქტომ და დე-იურემ შანსი გამიმიახედა.  
სტრიქონს გავეთამამე და  
პირველივე გამიჭირდა:  
ვეცადე და ვერ ჩამოვხტი გაფრენილი ტაიჭიდან.  
მეორე და მესამეზე ზედმეტია ლაპარაკი,  
არ ჩანს რითმის მენყვილე და არიფი და ამხანაგი.  
იქნებ სჯობდეს,  
წამოვიწყო პირიქით და ფინიშიდან,  
რომელმაც ვერ მიმიპყრო და  
მიმიმხრო და მიმიზიდა.  
უსათუო მოდაშია ახლა უსათაურონი,  
არ სჭირდება ატომივით მძიმე წყალი და ურანი.  
უთუმცაო იქნებოდა ოდენ სამად სამი ჯვარი,  
ხოლო რითმის მაგივრობას  
გასწევს რითმის ნაბიჭვარი.  
არის კიდევ კომპრომისი  
და ვერლიბრის შეღავათი,  
მაგრამ აქაც საჭიროა უფრო მეტი მეგა-ვატი.  
იმ წარსულშიც,  
სადაც იდო ნამგალი და იდო ურო,  
დე-ფაქტო და დე-იურე ველარ გავაიდურე.  
დეფიზს დაემონა ტირე და აინთო მონიტორი  
და მესიჯი გაიშიფრა ყურმოკრული საუბრიდან:  
რა ქნას კარგმა მონარდემ და  
რა ქნას კარგმა მონადირემ,  
შაში თუ არ გაუგორდა  
და არც შაშვი აუფრინდა?!



### დავით მიგელ სააკვიდრა წერილიანს

— ცოტნეს თაფლი ვინ წაცხო? —  
ვეკითხები თქვენს წუნუს,  
ვისაც ჩემთან ზავი სურს:

შუშაბანდში ვინცა ცხოვ...  
სხვის შუშაბანდს ქვებს ნუ უშ...  
გაუფრთხილდეს თავის შუშ...

სხვა დავითი სწუხდა ლექზე,  
მე კი ვაქებ წერედიანს,  
თუმცა ბოლოკვეცილ ლექსებს  
უკვე აღარ წერედიანს.

### იმნაირი

ერთხელ რითმა იმნაირი მოგივიდა,  
უთენია წამოგადგო ლოგინიდან.  
მერე, როცა მოდიოდი აკეთიდან,  
ერთიც ზუსტად იმნაირი აგეკიდა.  
გაუცხოვდნენ ელადა და ელადები  
და თბილისში იმნაირებს ელოდები.

### ეპრიკა!

„ოქრო ტალახშიაც ოქროა“.  
გალაკტიონი


წამოეშველა გრილი ზეფირი,  
ებანებოდა წყნარი ებანი,  
გაკვეთილივით გაიზეპირა  
განსხვავებათა ხელოვნებანი:  
ჯერ შეადარა ბიზე და ვერდი,  
მერე გათიშა ოკრო და ბოკრო  
და — არამარტო სილაში ვარდი —  
აღმოაჩინა ტალახში ოქრო.

### ღარიბი ნათესავი(ვით)

„მართლა ვარ მილიარდერი“.  
გალაკტიონი

ცალი თვალთ ვერ ვხედავ და  
ვაჟას დავენათესავე,  
ნათლობის და მირონობის  
სანთელს ვუნთებ მნათესავით.  
გული მეთანაღრება და  
შუბლის ძარღვი მეღარება:  
მას — მდიდარს და სახელიანს —  
ვეტმასნები მე — ღარიბი.  
ვედრები და ნამეტანი ვერკი ვეამბიციები:  
სხვაც ბევრი ჰყავს ჩემისთანა  
ყვავი-ჩხიკვის-ბიძიები.  
გრძნეულია: ენა იცის ირმების და მერცხლებისა,  
ორიოდე ანა-ბანა მეც მესმა და მეც მეღირსა.  
ახირება მომანონა ხიმიკაურ ძაღლიკასი,  
მილიარდერს ვეაჯები უპოვარა სახლიკაცი.

### IV-V



## აკა მორჩილაძე

### ჯეიმს ფილდის ცხოვრების ამბები, ამოკრეფილი ნიუბაიტის ახალი კალენდრიდან

ფრაგმენტი  
მომავალი წიგნიდან  
„მისპოპერი“

იმ ავაზაკთა შორის, დედამინაზე რომ სახ-  
ლობენ და საბანკო მისამართად ნიუგვიტის ციხე  
აურჩევიათ, ერთ-ერთ გამორჩეულ ადამიანად ჯე-  
იმს ფილდი უნდა ვაღიაროთ.

მამა პადრიგის მტკიცებით, მისი ადგილი იმ  
ტახტის გვერდითაა, რომელიც რიჩარდ ღურშტ-  
ეინის ციხე-სიმაგრეში ტყვედ ყოფნისას უძღვნეს  
რიჩარდ ლომგულს.

მეფის გულწვდენის მიუხედავად, ის ტახტი თე-  
ლისგან გამოეთალათ, მაგრამ ტუსალი მეფისთვის  
ისე შეესაღებინათ, როგორც მუხისა.

რიჩარდი ხისა და ღურგლობის კარგად მცოდნე  
კაცი იყო და ავსტრიის შერცოგ ლეოპოლდის ეს  
საჩუქარი დაცინვად მიიღო. თავის მხრივ, ხსენებ-  
ული შერცოგი რიჩარდს კორადო დელ მონფერა-  
ტოს, იერუსალიმის შეუმდგარი მეფის, ჭორად კი  
ამ ლეოპოლდის კუზენის, შეკვეთილ მკვლელობა-  
ში ადანაშაულებდა და ამიტომაც, რიჩარდი ტყვედ  
იგდო და მკვლელობის შემკვეთის გამოაშკარავე-  
ბას შეეცადა.

რიჩარდი უამრავი კუნძულისა და ქალაქის მე-  
ფე და სუბერენი იყო და ყოველთვის მეტი უნდოდა.  
ამიტომ, ტყვეობაშიც კი, ტახტზე უნდა მჯდარიყო.

რიჩარდი იმ მბრძანებელთა რიგიდან არ იყო,  
გაუთავებელ ომებში რომ ტახტი თან დააქვთ და  
როგორც კი ქალაქს აიღებენ, იქ თავის ტახტს გამ-  
ოდგამენ. ის ყველა დაპყრობილ ქალაქში ახალ ტა-  
ხტს შეუკვეთავდა ხოლმე და მერე იქვე ტოვებდა,  
როგორც თავისი ბატონობის სახსოვარს.

ასე რომ, მან ღურშტაინის სასახლეში არსებუ-  
ლი ყველა სკამი უარყო, როგორც სამეფო უკანალ-  
ისთვის სრულიად შეუფერებელი და დამტყვე-  
ვებელს წოლითი ხერხით მიაყენა შეურაცხყოფა.

ლეოპოლდი იძულებული შეიქნა, განთქმული  
ღურგალი მოეწვია.


შერცოგმა იცოდა, რომ საკუთარი ტახტისთვის  
საჭირო მასალად რიჩარდი მხოლოდ ინგლისურ,  
გამოუვალობისას კი ლიბანურ მუხას თვლიდა და  
ტახტის ძვირფასი ქვებით მორთულობის ნესსაც  
მკაცრად მისდევდა.

ავსტრიის შერცოგის მიერ გადაწყვეტილი უხ-  
ამსობის მიზეზი ცრურწმენაში უნდა ვეძებოთ. იმ  
დროების კონტინენტურ ევროპაში, რომელიც ქრი-  
სტეს საფლავის გამოსხნას ლამობდა, თელა თვით  
ბელზებულის მიერ პატივცემულ ხედ ითვლებოდა.  
ამიტომ ლეოპოლდმა გადაწყვიტა, რომ რიჩარდის  
ტახტი თელისგან გამოეთლევინებინა და გაეწყო.

რიჩარდმა ამოიცნო სიყალბე და ტახტზე დაჯ-  
დომა იუარა.

რამდენიმე აუცილებელი ძვირფასი ქვაც არ-  
სად ჩანდა.

### VI-VII



გიორგი ლობჯანიძე

# პატარა კრებულის დიად სამყაროში



დაპიტი წარმართული სიციცხლეში ძალიან ერთდებოდა ხოლმე საკუთარი ლექსების გამოქვეყნებას. ჩემი თაობის მკითხველებმა, აღფრთოვანებულნი რომ ვიყავით მისი ვიწრო, მხოლოდ ყურმოკვრით ვიცოდით, 1984 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა ლექსების არაჩვეულებრივი ციკლი, რომელმაც მკითხველთა ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია.

ამ აღტაცების შორეული გამოძახილები აღწევდა ჩემამდე უფროსი კოლეგების აღფრთოვანებული შეფასებების სახით, რომლებიც გამუდმებით იმეორებდნენ, რომ დავით წერედიანი კიდევ უფრო დიდი პოეტია, ვიდრე — მთარგმნელი.

ადრე კიდევ რამდენიმე მთარგმნელზე გამეგონა ასეთი რამ და რადგანაც მათი ლექსების წაკითხვის შემდეგ მხოლოდინი საფუძვლიანად გამცრუებოდა, ამიტომ ამ შეფასებებისადმიც ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი.

მაშინ დავით წერედიანს პირადად არ ვიცნობდი და ამიტომ სწორი მეგონა ის ამბავი, რომ ვინაიდან მისი ერთი ლექსი ხალხს ცნობილ აჯანყებას ეძღვნებოდა, საბჭოთა ცენზურა აკავებდა და ხელს უშლიდა ამ ავტორის ორიგინალური შემოქმედების ბეჭდვას. ის ერთი ერთხელ როგორღაც გაჰპარვოდა და ახლა გაფაციცებულნი უკეტავდნენ გზას, რომ მკითხველამდე ვედარასოდეს მიეღწია.

თავისებურად ალბათ სწორი იყო ეს ვერსია, რადგან წერედიანის ის ლექსი, რომელიც გარეგნულად ისტორიულ წარსულზე განზოგადებულ ლირიკულ რეფლექსიად აღიქმებოდა, სინამდვილეში მძაფრი შინაგანი პროტესტის ნაღმს ფარავდა საბჭოთა იდეოლოგიის, საქართველოში რუსული ბატონობის წინააღმდეგ.

ამიტომ, გასაკვირი სულაც არ იყო, რომ საბჭოთა იდეოლოგიის დამქაშებლთა თაღი ისე დაეჭირათ, თითქოს იმ ლექსში ავტორის გულისთქმა ვერ გაიგეს, მაგრამ სამომავლოდ არასანდო ადამიანების სიაში შეეყვანათ და ყველა ღონე ეხმარათ მის დასადუმებლად: მხოლოდ მთარგმნელის იმიჯით საზოგადოებისათვის მისი წარდგენაც „დადუმების“ ერთ-ერთი ხერხი იყო.

მოგვიანებით, როცა დავით წერედიანს ისე დავუმეგობრდი, რომ მისთვის დათოს დაძახება შეეძელი, ამ ამბავზეც ვკითხე, მან კი პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, მხოლოდ თავისებურად გამიღიმა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

მერე, როცა რადიო თავისუფლებაში მის პირველ პოეტურ კრებულზე — „ორიონზე“ — სიუჟეტს ვამზადებდი, უკვე ცოტა უფრო ფართო კონტექსტში ვკითხე დათოს ერთ ადამიანში პოეტისა და მთარგმნელის თანაარსებობის, მათ შორის შესაძლო კონფლიქტისა და იმის შესახებ, თუ პირადად თვითონ ამ კონფლიქტის ჩამომშინებებს როგორ ახერხებდა. ეხამუშებოდა თუ არა, რომ მას, მართლა დიდ პოეტს, მხოლოდ მთარგმნელად მოიხსენიებდნენ? იმ ინტერვიუში დავით წერედიანმა ჩემს ამ შეკითხვას ასე უპასუხა:

„თავისთავად ალბათ კანონზომიერია, როდესაც რაღაცა საქმეს იწყებს ადამიანი და საზოგადოებაში ჩნდება, ეს სახელი დაერქმევა და ასე აქვს და აქვს. ერთხელ თამარ ერისთავი იხსენებდა, გიორგი ლეონიძესთან ჰქონია ლაპარაკი, თარგმანებს დაბეჭდო. „არა, კაცო, არ დაბეჭდო, არ დაბეჭდო! მოგაკერებენ მერე მთარგმნელის სახელს და ვეღარ მოიშორებ!“ ასეთი რამე საერთოდ ხდება და მაგაზე გულისხმევდა რომ მქონდა, უფრო ენერგიულად შევუდგებოდი ამ საქმესაც, მაგრამ ეს რადაც ცოტა განზე დარჩა იმის გამო, რომ ბევრი მიზეზი ჰქონდა და ერთ-ერთი ისიც იყო, რომ მაინცდამაინც ჩემთვის დიდად საოცნებო საქმე არ ყოფილა საბჭოთა ცენზურის ქვეშ ყოფნა. თარგმანები, მით უმეტეს, ძველი პოეტებისა, მაგისგან სრულიად თავისუფალი იყო. რა თქმა უნდა, მხოლოდ ეგ არ არის მიზეზი, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი აშკარად არის.“

არსებითად, დავით წერედიანის ლექსების წაკითხვის შემდგომ, ჩემთვის აბსოლუტურად ცხადი შეიქნა, დავით წერედიანი მაშინ რას მეუბნებოდა და, უფრო მეტიც, კიდევ რა მიზეზებს გულისხმობდა.

ცენზურა ცენზურად, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც ძალზე შინაგანი იყო.

დავით წერედიანი იმ ტიპის პოეტია, რომელიც სწორედ ამ მიზეზების გამო მუდმივად მარგინალიზებული იქნება მასისთვის, მასობრივი მკითხველისთვის.

რადგან ჩვენი პოეზიის ნამყვანი ინტონაციები მაინც მუდმივად რიხიანად წარმოსატყეპელი ლექსები იყო, დეკლარაციული პოეტური სადღეგრძელოები, რომელთაც სუფრასთან უფრო მეტი რამ აკავშირებდათ, ვიდრე პოეზიის ქემარბი ბუნებასთან და იმასთან, რომ ლექსი დაფარული სამყაროს ყველაზე იდუმალი და ემოციური ფენების შრიალთან არის გადასკვნილი.

ლექსი სწორედ ამ შრიალის მოხელთებაა, რომელშიც მათი მინიერი, ყოფითი მნიშვნელობებისაგან განძარცვული სიტყვები თავიანთ ნამდვილ მარადიულ, არამინიერ შინაარსს იბრუნებენ.

ამ მხრივ პოეტს ყველაზე უფრო ჰგავს რომელიღაც პირველყოფილი რელიგიის ქადაგად დაცემულ მსახურს, რომელსაც შემოქმედებითი ექსტაზისას ზედაპირზე ამოაქვს კარგა ხნის წინათ მივიწყებული ქემარბები და ღირებულებები, ის, რასაც ადამიანის არსებაში მეტაფიზიკურმა ღვარცოფმა გადაუარა და სადაღაც ჩვენს შიგნით უნუგემოდ ჩაძირა ერთ დროს აყვავებული და მერე მინის პირიდან გამქრალი საზღვაო ქალაქივით.

ამიტომაც არის, რომ ლექსი თავისი ინტონაციით, ნახევარტონით, ემოციით უფრო მეტ საფიქრალს გვიღვიძებს, ვიდრე მასში გამოთქმული ფილოსოფიური აზრებითა და შინაარსით.

ლექსის შინაარსი მთლიანად ეს ემოციაა, ხოლო მისი მიზანი არის ყველაზე ჩახლართული ოქსიმორონი: გამოთქმა იმისა, რაც არ გამოითქმის. გამოხატვა იმისა, რაც, თავისი არსით, ილუზორია და გამოუხატველი.

ცხადია, ზემოთქმული სულაც არ მიიწვია კიდევ ერთხელ შევპირისპირო აქამდე ათიათასჯერ ერთმანეთთან შეპირისპირებული „აზრის ლექსი“ და „შეგრძელების ლექსი“. სიტყვებში მატერიალიზებული საფიქრალი თავისთავად უკვე აზრია და ადამიანი ამის გაკეთებას ახერხებს ყველგან, მათ შორის, ლექსშიც.

მაგრამ ლექსს აქვს ამაზე გაცილებით რთული დანიშნულება: მატერიალურ სამოსელში მოაქცეოს ემოცია, გრძნობა და ეს სამოსელი, მატერიალიზების მიუხედავად, არ იყოს ქვისა: უფრო სწორად, ქვამიც, მატერიალურშიც კი სული ისე სჭვიოდეს, როგორც სიცოცხლე ნეფერტიტის ქანდაკებასა თუ მიქელანჯელოს შედევერებში.

აი, პოეზია ზუსტად ის არის, რასაც ნეფერტიტისა თუ მიქელანჯელოს ქანდაკებებიდან შევიგრძნობთ, რაც მათგან სიცოცხლის სხივად გადმოედინება და ჩვენს სულამდე აღწევს. პოეზია ამ შეგრძნებისათვის სახელის დარქმევას, ამ შეგრძნების მოქცევას სიტყვის სამოსელში.

ეს ერთი შეხედვით განყენებული მსჯელობა მე პირადად სულ რამდენიმე პოეტს მახსენებს ქართულ ლიტერატურაში: ვთქვათ, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გალაკტიონს, ანა კალანდაძეს და, სულ ბოლოს, ახლახან გარდაცვლილ დავით წერედიანს.

სამივე აქ დასახელებული დიდი პოეტი კიდევ ჰგავს ერთმანეთს და ერთმანეთთან საერთოდ არაფერი გააჩნიათ, გარდა სიცოცხლის იმ მოუხელთებელი ათინათის დაჭერისა, რომლის მომხელთებლებსაც მისტიკოსები „გასხივოსნებულს“ უწოდებდნენ.

ასეთი გასხივოსნების წამი რამდენიმე შეიძლება იყოს თვით დიდი ოსტატების ცხოვრებაშიც კი და ამ წამების შესაბამისი დაფიქსირება ყველა ნამდვილი პოეტური ნიმუში.

ამიტომაც არის ცოტა ლექსი თვით ყველაზე დიდ პოეტთანაც კი და მხოლოდ ტრაგიკულ ბედისწერასა და ნაადრევ გარდაცვალებას არ უნდა ბევეროთ მეტი არ ამოიჩვენო, მაგალითად, იმავე ნიკოლოზ ბარათაშვილისგანაც კი სულ რაღაც 29 ლექსი და რამდენიმე ფრაგმენტი დაგვრჩა.

ოცდაცხრა-ოცდაათი ლექსი უკვე მთელი მადანია. გასხივოსნების სრულყოფილი გვირგვინი და გალაკტიონთანაც კი, ალბათ, ამაზე ბევრით მეტი არ ამოიჩვენო, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი საზომებითა და უმკაცრესი შერჩევის პირობებში, თორემ ნათქვამი სულაც არ გულისხმობს იმას, რომ დანარჩენი შემოქმედება ბალასტია ანდა გვერდით გულგრილად მოსასროლი ზედნაშენი.

უბრალოდ, ზოგი პოეტი ტოვებს გზასაც, თუ როგორ მიდის გასხივოსნებამდე, ზოგი კი ამ გზას ან საგულდაგულოდ მალავს ან თვითონაც არ იცის.

დავით წერედიანი სრულიად უშეღავათო იყო, უპირველესად, თავისი თავისადმი. ქება სხვის მიმართაც იშვიათად დასცდებოდა და თუ, ვთქვათ, როგორმე მოახერხებდი და ეტყოდი, რომ რომელიმე მისი ნამუშევარი, ლექსი თუ თარგმანი, ძალიან მოგეწონა, გაგიღიმებდა, თვალებს ბავშვურად მონკურავდა და ხელს ისე ჩაიქნევდა — ეს ხელის ჩაქნევა უკვე ადამიანური ყოფიერების მთელი შესტი იყო:

თავიდან ვერ გაიგებდი, რას გულისხმობდა: რადგან ეს შესტი გამოხატავდა ყველაზე ცივ „ნეტა შენ რა გესმის“-აც და ყველაზე მოკრძალებულ „აბა, რა ქების ღირსია!“-საც და ძალიან კარგად უნდა ცნობოდა, რომ ნამდვილ განზრახვას მიხედომოდი:

აბა, ართქმულთან შედარებით რა არის თქმული?! აბა, ოქროს მცრელის გარჯასთან და ჭაპანყვეტასთან შედარებით რააა მნიშვნელობა აქვს ან ქებას, ან ძაგებას, როცა ასეთი მცირეა ამდენი შრომის შედეგად

გად საცერში ჩარჩენილი ოქრო და ასეთი ფერმკრთალია მისი მოპოვების სიხარული?!

ამიტომაც იყო, რომ თავისი ლექსები ერთ წიგნად ასეთი დაგვიანებით გამოსცა და როსტომ ჩხეიძის დაჟინება და მისთვის ჩვეული მოუწყინარი თანადგომა რომ არა, არ გვექნებოდა კრებული „ორიონი“, 2010 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ეგიდით რომ გამოიცა და ჩემზე, როგორც მეხის გავარდნამ, ისე იმოქმედა.

რა თქმა უნდა, მაშინვე მივხდი, რომ ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ დავით წერედიანი იყო ის, ვისთვისაც შემეძლო უპირობოდ და უშეღავათოდ მენოდებინა „დიდი პოეტი“.

საერთოდ, ამ საკამათო სიდიდის ჩემი განსაკუთრებული საზომი მაქვს: თუკი ლექსების კითხვისას თავისთავად უნებურად მომდის ცრემლი, ეს ნიშნავს (ჩემთვის) რომ ამ ლექსების ავტორი მისტიკური განდობილების დასს მიეკუთვნება.

ასეთი რამ ძალიან იშვიათად მემართება: ლოცვისას, ფსალმუნებისა და სულ რამდენიმე პოეტის, უპირველესად კი, დავით წერედიანის ლექსების წაკითხვისას. ეს არის, ასეთივე დიდი განდობილის, უფრო ზუსტად, მათ შორის უპირველესის უზრუნველი ბაგით რომ ვთქვათ, „ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმზურვალეში“ (გალაკტიონი).

რაც მთავარია, ეს პატარა კრებული „ორიონი“ რომ არა, რომელიც სულ შედევრებით არის სავესე, დღეს არ გვექნებოდა პოეტის სიკვდილის შემდგომ გამოცემული შედარებით სრული, მაგრამ ზომით პირველზე ოდნავ დიდი კრებული „პარაპეტტი“, რომელიც, ზვიად კვარაცხელიას რედაქტორობით, სულ ახლახან დასტამბა გამოცემულია „ინტელექტმა“.

წიგნის შემდგენლისა და რედაქტორის სანაქებოდ მიიწვია ვთქვა, რომ დიდსულოვნად გაუმკლავდნენ ცდუნებას და ამ კრებულში უსისტიგმოდ არ „ჩაყარეს“ ყველაფერი, რაც დავით წერედიანის ხელიდან გამოსულა. არადა, ასეთი რამ სავესებით მოსალოდნელი იყო, რადგან წერედიანის მემკვიდრეობა (გულისხმობ ორიგინალურ შემოქმედებას!) ათი ამხელა მაინც არის, რაც თუნდაც ამ მეორე კრებულმა დაიტია: ბოლოს და ბოლოს ახლა, გარდაცვალების შემდეგ მაინც შეიძლება მიგვეცა თავისათვის იმის უფლება, რომ ყველაფერი ოქროცა და ანაცეროც ერთად თავმოყრილი გვენახა, მაგრამ, საბოლოოდ, კარგია, რომ წიგნის მესვეურები პოეტის ნებას დაჰყვენ და მხოლოდ ის გამოაქვეყნეს, რისი დაბეჭდვის უფლებაც თვითონ დავით წერედიანმა, მეტაფიზიკური დავით წერედიანის საუფეთესო მცოდნე და დამცველმა, საკუთარ თავს სხვადასხვა დროს მისცა.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ მეორე კრებულსაც როსტომ ჩხეიძის ბოლო-თქმა ამშვენებს, რომელიც სულ რამდენიმე აბზაცში ახერხებს წერედიანის პოეტური ტალანტის უზუსტეს შეფასებას:

„ეს სამყაროა გამოხატული „ორიონში“, რომელსაც ხელმოკრედ გამოცემისას ცოტა ლექსი თულა მიემატებოდა და კიდევ დასრულდებოდა და მოგუმბათებოდა დავით წერედიანის პოეტური სამყარო, არა დიდი მთარგმნელისა და ესეისტიკის კიდევ ერთი შთამბეჭდავი გამოვლინება, არამედ თვითკმარი, თავისთავადი მოვლენა, ახალი კარის გადამხსნელი ქართული პოეზიის მდინარეებში“.

ეს არის ძალზე ლაპიდარული, დაწურული, ქრესტომათიული შეფასება და ძნელია, ნათქვამს რამე დააკლო ან დაუმატო.

დიახ, დავით წერედიანი უდიდესი მთარგმნელია. მან ყოველი ახალი ძეგლის თარგმნით თითოეულ ამ ძეგლს ახალი, „ქართული“ სიცოცხლე მიანიჭა, უდიდესი საქმე გააკეთა, როგორც მკვლევარმა და ესეისტმა, მაგრამ ეს ლექსები არ გახლავთ მისი რიგითი, როგორც მისგან დაჩვეულნი ვიყავით, თუნდაც უბრწყინვალესი ნამუშევარი, ეს ყველაფრის გულისგულია, განუმეორებელი, ამიტომაც თვითკმარი და თავისთავადი და, რაც მთავარია, ახალი კარის გადამხსნელი ქართული პოეზიის მდინარეებში.

და მაინც რითია ეს პატარა კრებული ასეთი მნიშვნელოვანი თანამედროვე ქართული პოეზიისათვის?

დავინყოთ ფორმით: ერთგან თვითონ დავით წერედიანი თა-

ვისი ლექსების ერთი ციკლის შესახებ აღნიშნავდა:

„ერთხელაც იყო, დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა. ქართულ, ტრადიციულ, შეუმღვრეველ ხმებთან პირისპირ დავრჩენილიყავი, ხმებთან, პირველი იავნანიდან რომ ყურში გვიდგას, არც დროისა და არც უცხოური გავლენებისათვის მისხალი ანგარიში არ გამენია, მეთქვა მხოლოდ იმ წყობით, რომელიც პირნიშნადა ჩვენი, ქართულია, თან ოლონდ ისე, რომ ძველი უკვე ნათქვამი არაფრით გამემეორებინა. ერთი შეხედვით იმავე თარგზე მოჭრილს მგვანებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით“.

დიახ, მხოლოდ ერთი თვალის შევლევებით, თორემ ამ პატარა წიგნში იმდენი დამოუკიდებელი ჰანგი წერილებს, ისეთი ნაირგვარი საზომების თაიგულს კრავს და ზოგჯერ ეს პრინციპულად განსხვავებული საზომები ისე ოსტატურად გადადიან ერთმანეთში, რომ თუნდაც მხოლოდ ფო-

მელიც სწორედ ამ აღმოსავლური საზომების გამოყენებით შექმნილ ხუთ ლექსს, ხუთ დამოუკიდებელ მოტივს აერთიანებს.

საინტერესო აქ სწორედ ის არის, რომ არც ერთი საზომი თუ ტონი თავისი ავთენტური ფორმით არ არის გამოყენებული, მიუხედავად იმისა, რომ ყველაგან დაცულია მარცვალთა რაოდენობისა თუ სალექსო ფორმათა აღნაგობის პირველადი სქემა (ვთქვათ: მუსტაზადში, რომელიც კლასიკური განმარტების მიხედვით, არის „ისეთი სალექსო ფორმა, როდესაც ყოველ სტრიქონს ან ბეითს მოსდევს მოკლე დანამატი, მისამღერი. ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი რითმა აქვს. მისამღერის დამატებით ნებისმიერი სალექსო ფორმა შეიძლება მუსტაზადად გადაიქცეს. გვხვდება საკმაოდ ადრინდელი ხანიდან (XIII საუკუნე), თუმცა მაინცდამაინც არ გავრცელებულა. ეს სალექსო ფორმა, უფრო ზუსტად, სახელწოდება, იხმარება გარ-

ლკლორის (თავისი იეთიმ-გურჯებით, გვიმვილებითა და ასე შემდეგ) და სპარსული პოეზიის გენიოსი ქართველი მთარგმნელების (მაგალითოდ, ვახუშტი კოტეტიშვილი, ზეზვა მედულაშვილი) მიერ შემუშავებული და დედანთან მიმსგავსებული ქართული შესატყვისობებით, რომლებიც არც ქალაქური ფოლკლორისა და არც (პირობითად, ვთქვათ) მნიგნობრულ-პოეტური ტრადიციის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ზუსტად არ ეხამება „დედანს“, მაგრამ მაქსიმალურად ასახავს მისი რიტმების ერთიან მდინარებას.

სხენებულ რკალში ეს ყველაფერი გათვალისწინებულია, ოლონდ, დავით წერეთელი, გენიოსი პოეტი, სრულიად ახალ თამაშს გვთავაზობს:

როგორ შეიძლება გადავიდეს ერთმანეთში აღმოსავლური (არაბულ-სპარსული პოეზიის) ადაპტაციის ეს ორი შენაკადი: ქალაქურ-ფოლკლორული და მნიგნობრ-

მოსავლური ცივილიზაციის პერიფერიაში მცხოვრები პოეტის ავთენტურ რეფლექსიად განსხვავებით ლაზარეს ციკლისაგან, რომელიც სწორედ იმიტომ, რომ ერთვნილი, პირნიშნადა ქართული სალექსო საზომებითა და თემებით იკვებება, უაღრესად ბუნებრივია და ასევე ბუნებრივად აჩენს ტრაგიზმის განცდასაც.

ყველაზე მეტად სწორედ ლაზარეს ციკლშია გამოკვეთილი დავით წერეთლის შემოქმედებითი თავისებურება: მასთან, საერთოდ, შედარებაზე და მეტაფორაზე უფრო მნიშვნელოვანია სიმბოლო და მინიშნება. ეს კი მთლიანობაში მის ლექსებს წინასწარმეტყველებასთან, ქადაგებასთან უფრო ანათესავებს, ვიდრე ლირიკასთან.

ამიტომაც, წიგნის წინათქვამში აბსოლუტურად სწორად შენიშნავს კრიტიკოსი ივანე ამირხანაშვილი:

„აქ ცნება არის იმდენად მყარი, რამდენადაც საგანია მთლიანი და ცოცხალი. თითქოს ესწრები სიცოცხლისა და თვითშეგნების, ცნობიერებისა და თვითცნობიერების გამთლიანების აქტს; სადღაც აქვე ერთდება მატერია და სული, გარემომცველი სამყარო და ფანტაზია, ამიტომ ყველაფერი მოძრაობს, ბორბავს, ხმანობს.“

მისტიკა – შეიძლება ასეც ვუწოდოთ იმ უცნაურ ფლუიდებს, რომლებიც დავით წერეთლის ლექსებიდან მოედინება – ძალიან მახლობელი და მოუხელთებელი, ნათელი და იდუმალი, გასაგები და შეუცნობელი“.

გარდა იმისა, რომ ძალიან ზუსტია, არსებითად, მაგისტრალური შეფასებაც არის, რადგან, მისტიკის გარდა, სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ, ვთქვათ, ლექსს: „ვარიაციები სიმონ ჩიქოვანის თემაზე: ცირა“.

ქართული პოეზიის მკითხველმა ძალიან კარგად იცის სიმონ ჩიქოვანის 1925 წელს დაწერილი და ვერიკო ანჯაფარიძისადმი მიძღვნილი ლექსი „ცირა“, რომელსაც მკვლევრები ქართული ფუტურისზმის ერთ-ერთ უპირველეს ტექსტად მოიხსენიებენ. ფუტურისზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, იტალიაში 1909 წელს ჩამოყალიბდა, რომლის სულის ჩამდგმელი და მანიფესტის ავტორი მემარცხენე იდეოლოგიის პოეტი ფილიპო ტომაზო მარინეტი იყო. მარინეტის მანიფესტში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ ფუტურისტების მიზანს წარმოადგენდა „იტალიის გათავისუფლება სიძველის მოყვარული ადამიანებისა და თვითონ სიძველისგან, სიტყვების გათავისუფლება ძველი შინაარსისაგან და მათთვის სრულიად ახალი შინაარსის მინიჭება“.

ამ გზაზე დამდგარმა სიმონ ჩიქოვანმა არაერთი ბრწყინვალე ნიმუში შექმნა და მათ შორის „ცირა“, საიდანაც აზრის გამოტანა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება, რადგან ჩიქოვანმა სცადა ბგერწერით ჩაენაცვლებინა უაზრო სიტყვებისა თუ ფრაზების შინაარსი.

თვითონ არასოდეს უთქვამს, მაგრამ დაახლოებით ვხვდებით, რამ უბიძგა დავით წერეთლის ამდენი ხნის მერე სიმონ ჩიქოვანის ამ ლექსზე საკუთარი ვარიაცია დაწერა. ჯერ ერთი, ალბათ, ბგერწერის სრულიად ბუნებრივმა სიყვარულმა: გარკვეულმა ინტერესმა იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მის ხელში ბრწყინვალე პოეტის მიერ წამოწყებული ლიტერატურული თამაში თუ ექსპერიმენტი და მეორე, ამ ექსპერიმენტის შედეგმა, რომელსაც დავით წერეთელი ალბათ თავიდანვე იგარაუდებდა:

ჩიქოვანისეულმა „ძველის უარყოფამ“, უფრო ზუსტად ამ ტენდენციის ლოგიკურმა გაგრძელებამ, იგი უძველეს ძირამდე: მაგიური შელოცვების დვრიტამდე დაიყვანა.

ამიტომ, თუ ჩიქოვანის ლექსი ჩვეულებრივი ბგერწერული თამაშია, წერეთლის ლექსი რომელიღაცა მივიწყებული სვანური ღვთაების საგალობელსა ჰგავს.

თავისი აღნაგობით დავით წერეთლის „პარაპეტი“ ძალიან ჰგავს ძველი, კლასიკური მწერლობის ქმნილებებს: მისი ზედაპირული შრე, თავისი სილალის, დაუძაბობის, ფაზის უაღრესად ბუნებრივი მდინარეების გამო, თითქმის ყველასთვის გასაგები იქნება, მაგრამ ამ წიგნის ნამდვილი სიღრმის, ნამდვილი მნიშვნელობისა და დანიშნულების აღსაქმელად მკითხველს დიდი წინასწარი მომზადება, ცნობიერი თუ ინტუიციური ცოდნა ესაჭიროება.



რმის თვალსაზრისითაც, უდიდესი პერსპექტივები იხსნება მომავალი ქართული ლექსისა თუ ქართული ლექსის ბრწყინვალე მომავლისათვის.

აქ, ამ წიგნში მოხაზული კონტურები, ერთი კი არა, რამდენიმე პოეტური სკოლის შექმნას ეყოფა სამომავლოდ, თუკი შემდეგ თაობებს ყური არ დაუჩლუნგდათ და დავით წერეთლის მუსიკალური მიგნებების შემოქმედებით ათვისებისათვის შესაბამისი ენერჯია ეყოთ.

ცალკე ეს „ლაზარეს“ ციკლი ხომ ნამდვილი პატიოსანი თვალა ამ წიგნის პოეტური ბეჭდისა, სადაც მართლაც წყალივით ლაღად მიედინება გრძნობისმიერი სინამდვილე, რომელიც ალაგ-ალაგ ისე იტალვება და ამ ტალღებზე მზის სხივების ისეთ მოუხელთებელ სპეკალ-ვარსკვლავებს ათამაშებს, რომ მათი ბრწყინვა თავისთავად გჭრის თვალს, უნებურად გადენს ცრემლს და ტანზე საიდუმლოსთან პირისპირ შეხვედრის შიშისა თუ მღელვარების, გაცივებისა თუ თავბრუსხვევის ტაოს დაგიხვავებს.

და ცალკე კიდევ სხვა პოეტური რკალები, რომლებიც ბავჯაღლოსავით შემოსალტვიან ამ თვალპატიოსანს, და ისეთი მონოლითურნი ჩანან, რომ ოქროსავით სხვა ნაერთთან რეაქციაში ველარასოდეს შევლენ: სხვა სიტყვას, სხვა ფრაზას, სხვა განწყობას ვეღარ შეირვევენ.

ამ პოეტური რკალებიდან ფორმის თვალსაზრისით მე, როგორც აღმოსავლური (სპარსულ-არაბული) ლიტერატურის მკვლევარს, განსაკუთრებით დამაინტერესა დავით წერეთლის კიდევ ერთმა ციკლმა „უძილობა, ტფილისური მოტივები“, რო-

დამავალი ხანის ქართულ პოეზიაში“. მაგრამ ამის მიუხედავად, თვითონ ფორმის მიგნით ისეთი მუსიკალური მოულოდნელობები და რაც მთავარია, ეს მოულოდნელობები ისე ორგანულად ჯდება აქამდე არსებულ სქემაში, რომ გაცივებული რჩები: აქამდე რატომ არავის მოაფიქრდა, რომ ეს ორი საზომი, რომელიც ერთმანეთთან შეუწყვილებლად ითვლებოდა, ასე ოსტატურად და ჰარმონიულად შეეხამებინა.

მაგალითად, სპარსულ პოეტიკაში მუსტაზადის ძირითადი ნაწილი ბასიტის სალექსო ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, მისამღერად კი უნდა მოსდევდეს ან ხაფიფის ანდა რაჯაზის ფორმა. ითვლება, რომ სხენებულის გარდა, სხვა საზომები მუსტაზადში ერთმანეთს ვერ ეწყობიან, ვერ ჰვუობენ და ამიტომაც სპარსული პოეტიკიდან ექსპერიმენტის სახითაც კი არავის მიუმართავს სხვა საზომებისათვის, როგორც მუსტაზადის შემადგენელი ელემენტებისათვის.

მართალია, ქართული პოეტიკა ზოგჯერ სრულიად განსხვავებული და არც თუ იშვიათად საპირისპირო შინაარსით ტვირთავდა აღმოსავლური პოეტიკის ფორმებსა და საზომებს, რომლებიც თავის ნიადაგზე ფრთხილად და ფაქიზად გადმოჰქონდა, მაგრამ თუ ზუსტად არა, ძირითადად მინც ინარჩუნებდა ხოლმე დედნისათვის დამახასიათებელ მუსიკალურ რიტმს, უფრო სწორად მუსიკალურ თემას, რომლის მიგნითაც ქართული ენის ბუნებისათვის ორგანულ ჰარმონიას მოაქცევდა. აღმოსავლური სალექსო საზომების პოეტური ადაპტაცია ქართულ ლექსში ორი ძირითადი ხაზით განვითარდა: ქალაქური ფო-

ულ-პოეტური. სად ეხებიან ისინი ერთმანეთს და სად შორდებიან, ისე, რომ აღმოსავლური ლექსის ხატოვანმა ესთეტიკამ ქართველ მკითხველს გული მოუნახოს და უცხოობით გამოწვეული გულზიდვის შეგრძნება არ დაუტოვოს.


ვხვდებით, რომ შურნალისტური რეცენზიისათვის შეუფერებელ, სამეცნიერო კვლევაზე გადავდი და ალბათ, ბევრი მკითხველისათვის ბოლომდე გასაგები არ იქნება, ის რაც ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ ამ ყველაფრის აღნიშვნა მაინც საჭიროდ მივიჩნეე იმის გამო, რომ ლექსის ან, მით უფრო, მთელი პოეტური კრებულის შესაფასებლად მხოლოდ სუბიექტური „როგორ მომწონს!“ ან „რა ღვთაებრივია!“ სრულეებითაც არ არის საკმარისი.

თითოეული პოეტური ნიმუშის მიღმა დგას კონკრეტული ცოდნა და ოსტატობა და მათ შესაფასებლად საჭიროა, ჰიპოთეტურად მაინც გავიაროთ ის გზა, რომელიც ამ ნიმუშებთან მისასვლელად ავტორმა გაიარა.

ფორმისეული ექსპერიმენტები და აღმოჩენები კი მხატვრული ტექსტის წარმატება-წარუმატებლობის ორგანული და განუყოფელი ნაწილია.

სხვა ამბავია, რომ ფორმა ისე უნდა ესატყვისებოდეს შინაარსს, როგორც თუნდაც ჩვენ მიერ განხილული რკალის შემთხვევაში. დავით წერეთლიანთან მნიგნობრულ ტონალობასთან შედარებით ქალაქური ტონალობისათვის უპირატესობის მინიჭება მისი ლიტერატურული თამაშის შემადგენელი ნაწილია. ეს მთლიანად ციკლს სერიოზულობის საფუძველს გამოაცხადებს და გარდაქმნის აღმოსავლურ კიჩად, აღ-





ვახტანგ ჯავახიძე

ზღვა განსაზღვრდა

ფერს ვან გოგი აგიჟავენებს, ჩვენ კი სხვებმა დაგვიშავეს და ძალიან ლურჯზე ლურჯი ზღვა მზაკვრულად გაგვიშავეს.

ჩვენს შორის ღარჩანს და...

ვიყავ ალექსანდრიაში და ზღვა ვნახე ხმელთაშუა, ვიყავ სიცილიაში და ზღვა ვიხილე ხმელთაშუა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დარჩება ჩვენთა შუა ხმელთაშუა, ვისაც გვიყვარს იესო და იეშუა.

მალთაყვა

აყვავილდა ეზოში ალუჩა და ატამი, დასეირნობს ეზოში ხვალინდელი ქათამი. საუბრობენ ეზოში აბელი და ადამი, დასეირნობს ეზოში ხვალინდელი ქათამი. შემობრძანდა ეზოში ქალბატონი მადამი, დასეირნობს ეზოში ხვალინდელი ქათამი. არა კვერცხისმდებელი, არა ინკუბატორის და არც დაკრუხებული, შენ ხარ ჩემი ბატონი, — უარყოფა დღევანდელ დღეის უმიზეზოსი — ხვალინდელი ქათამი დასეირნობს ეზოში და შენ, რაკი, გეთაყვა, მართლა გიყვარს მალთაყვა, მართლა გაგიმართლებს და ზღვაზე ნახვალ მართლა ხვალ, ხოლო მალთაყვაში კი — ზღვაზე, მაშასადამე — ხვალინდელ კვერცხს სჯობია დღევანდელი ქათამი და შენ ვერვინ დაგიშლის საზაფხულო არდადეგს, ვიდრე შავი დედალი წითელ კვერცხებს არ დადებს.

კალია

მარტოობისთვის აღარ მცალია, შემომისკუპლა სახლში კალია. კალია მწვანე ნაპერწკალია — ანტიციხე და ანტიგალია. ვახტანგო, მხარი უნდა აუბა და აზვიმო კალიაობა. აქეთ სტუმარი მეპატარავა, იქით ასაკმა გაიასაკა, მარტო ვიყავ და მარტო არა ვარ, სხვა არაფერი — კალიასაგან.

სქოლიო

ვერვინ ამიყოლიოს: არ ვკითხულობ სქოლიოს: კითხვა აღმატებული დამიმძიმებს სკოლიოზს, ხოლო შვილთაშვილი კი მომიხარშავს კოლიოს.

აი ია!

— ვარდობა თუ იობა? — რა თქმა უნდა, იობა! მთელი კაცობრიობა აღიარებს: — იობა! ეროტომანიობაც ადასტურებს: — იობა! ერთმა იმსახიობა: ითამაშა ნიობა, სხვებმა უმალ შეწყვიტეს ხშირი ლათაიობა, ზოგმა ლიტანიობა, ზოგმა მეტანიობა, ბევრი ლაქიობა და ბევრი ბაქიობა და ენატანიობა და მუქთაჭამიობა და სამთა სამაიობამ აღიარა იობა. გამოცხადდა საერთო აზრთა ერთობლიობა, დაგმეს აშორდიობა, დაგმეს დოყლაპიობა, ნაცარქექიობა და ჩიტირეკიობა და კუკუმალობიობა, როგორც ამბობს იობი (გაერთიმნენ ერთმანეთს ოფოფი და ობობა და თან მიიმჯამეს იობის იობობა). აქვე უნდა ვამხილოთ ყალბი ამბიციობა და დავმოძღვროთ ბერების ანტიღვთაებრიობა: დაივიწყეთ ბერობა, გაიხსენეთ ბარები, ითამაშეთ ბარაბა, ნამსახიობარებო. ისაუბრეთ ნოეზე, ადით სათაფლიაზე, აქეთ ებანოიძე — იობაძე — ბლიაძე. აქეთ იდილიობა, ვარდობა და იობა და თამაში, რომელსაც ერქვა იმპერიობა.

საქმიანი ლექსი

თუმცა გუნდრუკი ბევრმა აკმია, არ შემოძლია ვიალმაცერო, მე ვარ პოეტი, ჩემი საქმეა, რომელი სიტყვა როგორ დავწერო. თითქოს მაფრთხილებს ლანდი ანასი, თითქოს დაკარგეს ჩრდილი საგნებმა, ზოგჯერ მგონია, ამ ქვეყანაზე აღარაფერი არ მესაქმება. ამინდიც აღარ მეამინდება და იშვიათად ვფიქრობ საქმეზე, საქმე საქმეზე როცა მიდგება, მაკლდება ერთად-ერთი საკმაზი. ჩამოვარიგე მუქთა მასკები და, თუმცა ბევრჯერ მიქარაგმია, არ მეხერხება გაიმასქნება, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა საქმეა.

ისევ თომა

დავასრულე თამაში ანტიმელოდრამაში, სულ არა და არა და — აღარ მჯერა თომასი. სულ ვაი და ვაეზა, არა არას ნაეზა, კმარა არარაობა, აღარ მეთომაეზა. მე მყავს ჩემი მამილო, მე მყავს ჩემი მესაჭე, აქ ვარ, არ დამიმალო, ჩიტო, კარგი მესიჯი.

ჯივის კალენდარი

ცუდი ამინდების გამო გაზაფხული გადაიდო და თებერვალს იანვრისგან ბატონები გადაედო. აპრილისგან ნასესხები მარტისათვის გადაედო და თიბათვეს ვარდობისთვის სიცილივით გადაედო. მკათათვეში ამობრძანდა მზე სასხვისო, სატაიტო, აგვისტოში მოგეახლა ტარიელი, ხატაეთო. ენკენისთვემ: იმერლებო, ლიხს გადალმა გადაითო, მნიფობის და ლვინობისთვემ ფეხი ფეხზე გადაიდო. ნოემბერში რამდენიმე საბალავრო ქვა დაიდო, დეკემბერში გული გულობს და სუფრაზე ქადა იდო.

სიბერის ციკლიდან

ვერ დავყოვნდები, ვერ ვიქნები აბეზარი და დარჩენილ დღეთა კრიალოსანს მალე დავითვლი, რაკილა ისე გამოვდივარ აბაზანიდან, როგორც ოდესმე დიდგორიდან მეფე დავითი.

MEMENTO MORI!

არის სააქაო, არის საიქაო და შენ, რაც არ უნდა ენა აიქაო, იგი ადიდო და იგი აიგიო, მაინც არ აგცდება შენი საიქიო.

ვასაქის თეატრი

„ნეტავი იქ თეატრი არის?“ აკაკი ვასაძე

გვაჩქარებს დემონი ვერანი სულეთის მოსალოცავად და ბოლოს ყველა და ყველანი ვასაქის თეატრში ნავალთ.

ანტირეკლამა

დღეს და ხვალ და ზეგ და მაზეგ გადაგვარჩენს სილამაზე. დღეს და ხვალ და ზეგ და მაზეგ დავფიქრდებით დედ-მამაზე, შენდობაზე, შეცდომაზე, საარმაზე აკლდამაზე. მერე, როცა გათენდება რომელიღაც მესამასე, დღეს და ხვალ და ზეგ და მაზეგ ყველა გავალთ რეკლამაზე.

ჩამავალ მხეს, ჩამავალს

მხატვარს უყვარს ოხრა, არტისტს — მიხრა-მოხრა, მე კი მალე ყველაფერი უნდა დამრჩეს ოხრად. უცებ ერთმა უწმანურმა რითმა გამიოხრა: უნდა გადავადგილო ახლა ში და ოლრა. და, თუმცაღა ვერ ვისწავლე დროზე ქედის მოხრა და, თუმცაღა ვერ ვისწავლე ყველას თავის მოყრა, ნატვრის ხე და იმედის ხე მახრამ ვერ გამოხრა: ანაკლიის ჩამავალ მზეს ვერ დავტოვებ ოხრად.

რუსეთი

ადრე გვტაცებდა გვირგვინებს, ახლა საფლავებს გვირგვინებს, არის ასეთი ქვეყანა — ბაკაკი ნკალში კიკინებს!

აპვისტოს მზი

როკის გვირაბთან ურჩხული როდესაც შეიარაღდა, მაშინ კახური ჩურჩხულა დამარცხდა რუსულ არაყთან.

| ტანკა და ტანკი  | საზოლიშო   | მაჯამა მარამს  |
|---|--|--|
| <p>ტოკიოდან — ტანკა!<br/>                     მოსკოვიდან — ტანკი!<br/>                     გზაზე გაითანგა<br/>                     მრუდე ბუმერანგი,<br/>                     ცეცხლში დაიდაგა<br/>                     ძველი რაიხსტაგი,<br/>                     პალესტინიდან კი<br/>                     ისმის დაკა-დაკა...<br/>                     მოსკოვიდან — ტანკი!<br/>                     ტოკიოდან — ტანკა!</p> | <p>აივსო ასაკის ყულაბა:<br/>                     ძალიან მეუხერხულეა.</p> <p>მომწყინდა სარკეში ყურება:<br/>                     ძალიან მეუხერხულეა.</p> <p>ეს რა გაიგონეს ყურებმა:<br/>                     სიცოცხლე მეუხერხულეა!</p> | <p>მამაჩემი რომან,<br/>                     დედაჩემთან რომან<br/>                     და მე გამილიმა<br/>                     ამა სამყარომან.<br/>                     მზეო, ამო, ამო,<br/>                     შენ კი, მარამო,<br/>                     გამოამზეურე<br/>                     ამო და ამო.<br/>                     რაფაელის გამო<br/>                     რუსთაველზე გამო,<br/>                     გაამოციონე<br/>                     შენი ულაგამო.<br/>                     ნაისამაიე,<br/>                     ნაიდარაიე,<br/>                     დიდხანს იყავილე,<br/>                     ივარდე და იე.</p> |

**69 და 69 და 69**

ექვსი და ცხრა და გარეშემო რეფერებია:  
 ორი ციფრია და ერთმანეთს ეფერებიან.  
 ვიდრე გაყოფდნენ, მანამდელი ატომია და  
 როდენის სამი ამბორია ადამიანთა.  
 ამათ რომელი შეედრება წრე და რომანი,  
 რომელი ვისი ჩანაცვლებს, ანდა — რამინი?  
 მათ შორის სუფევს ამური და სუფევს ეროსი,  
 თავდავინყების სკლეროზია მათი სკლეროზი.  
 ასე დაწყვილდნენ ჩამავალი მთვარის ლამპართან:  
 ციფრების ვალსი, გინდა — ტანგო,  
 გინდაც — ლამბადა.

მაგრამ — თუკი ციფრები:  
 აქვე ექვსთან — აქვე ცხრა,  
 ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა,  
 ანდა — რატომ დაგვენძრა?

**ყველაფერი**

მაღალჭერიან და მაღალსართულიან  
 სახლში ყველაფერი ნებადართულია.  
 მე კი შევადარე ორი სერიალი:  
 ჩემი მირჩენია დაბალჭერიანი,  
 სადაც არაფერი აღარ შეიცვლება,  
 რადგან ყველაფერი აღარ შეიძლება.

**მოსულა**

მოსულიდან ჩამოსული მოსულელი,  
 მე ჩემი მყავს შენზე კარგი მოსულელი.  
 აღარ მომწონს უკვე სერიოზულები —  
 წასულები ხელიდან და მერე აზრზე მოსულები.  
 ბრძენი არ ვარ და სულელიც ვეღარ ვარ,  
 ალბათ მოსულელების კიბეზედაც ვეღარ ავალ,  
 მაინც თავი ბევრჯერ გამომიჩენია,  
 რადგან სულელს მოსულელი მირჩენია:  
 მომევილინა მთვარის მოკოსმოსო ლელი  
 და მაქეზებს — თავი მოვიმოსულელი.

**ერთი ადგილი**

ქმნა სიკეთისა ძნელია და არაადვილი,  
 თუკი არა გაქვს სასავარძლო ერთი ადგილი.  
 თუკი აპირებ შეისრულო ბევრი ნადილი,  
 უთუოდ უნდა გაანძრიო ერთი ადგილი.  
 არ კმარა ოდენ სურვილი და ოდენ ქადილი,  
 მხოლოდ ადგილი, უსათუოდ ერთი ადგილი!  
 მოდის სექს-ელდა, მოაცილებს ჩრდილი-აჩრდილი,  
 მოდის და მოაქვს აღჭურვილი ერთი ადგილი.  
 მოაქვს ნაღდი და ნამეტანი ანუ ნამდვილი...  
 გევასა, მაგრამ აღარა გაქვს მაგის ადგილი.

**ტავტოლოგიური**

მე ის მიყვარს, ვისაც უყვარს ჩიტები და ტიტები  
 მე მას ვაქებ, ვისაც უყვარს ჩიტები და ტიტები,  
 მე მას ვუხმობ, ვისაც უყვარს ჩიტები და ტიტები,  
 მე მას ვეძებ, ვისაც უყვარს ჩიტები და ტიტები:  
 ვინც იპოვნის, დამიძახოს, უმაღლესი გავეჩითები.

**ერთი ნახვით შეყვარება**

დავინახე და მას აქეთია,  
 ეგრევე დამევასა ქეთია,  
 ცა გამეხსნა და ამიერიდან  
 სამოთხის კარი დასაკეტია.

**მონატრება**

ჩვენებურო, რა ხანია, არ ყოფილხარ ჩვენსა,  
 თუმცა აქაურობანი გახსენდება კია? —  
 მიწისა და მამლის ყივილს ვერ ნაუხვალ ვერსა,  
 თვითონ დაგაკვალაინებს გენის ნოსტალგია.

**პაპიანი**

დაინგრა ძველი კართაგენი,  
 დაცვა ჰამილკართა გენი.  
 დაინგრა ძველი კართაგენი,  
 განირეს ამბოკართა გემი,  
 მოძღვრები და მოქადაგენი,  
 მოგვები და მოქანდაკენი.  
 დაინგრა ძველი კართაგენი,  
 უბერავს ქარი ქართაგანი.  
 დაინგრა ძველი კართაგენი,  
 მე კი თბილისის კართან გელი.

**ჩამავალი მზა**

თუმცა ბევრჯერ დამინდე და დამავალე,  
 თუმცა ერთნაირად გვიყვარს ამედეო,  
 მე პოეტმა შემაყვარა ჩამავალი,  
 შენ კი მღერი: მზეო, მზეო, ამოდო.

**გალა**

სცადა მაღლის გადახდა,  
 მაგრამ ჯვარცმა გადახდა:  
 მეფის ტახტი გატახტა  
 და ფანჯრიდან გადახტა.

**ომარ ხაიამი**

დაგმო ფულის ტომარა,  
 ღვინო მოაყომარა,  
 ნაკაცარ და ნაცხარ  
 ახვარს შეეომარა  
 და, რობაი რომ არა,  
 არა მოინდომა რა,  
 ამჯერად და აწილა  
 ალახს ნათომარა:  
 — ღმერთი ხარ თუ კაცი ხარ! —  
 გაბლატავდა ომარა.

**მნარა ელეგია**

გელოვანებს და ასათიანებს  
 სხვა ელეგია ასევედიანებს.

**სამება**

ეხო ვაშათა,  
 უმჯობესი კი:  
 ერთი ვაჟა და  
 ორი ბესიკი.

**მისა ქვლივიძის გახსენება**

მისას რიარია  
 მიხარიაარია,  
 ჩემიც რიარია  
 მიყვარიაარია,  
 ჩვენი რიარია  
 ინტერიერია:  
 ტიხარი-ხარისა...  
 მისა, მიხარისარ.

**ვანი ვუისაგან**

უმამაცესი გახლდათ გრიბოედოვის ჩაცკი,  
 არ ეშინოდა მამაცს თავისი ჩრდილისაც კი.

**გურულ მავოპარს**

მაიაკოვსკის მაია,  
 შენ რო იფიქრე, მაია.  
 პლისეცკაია მაია,  
 შენ რო გევასა, მაია.  
 წყნეთელი მათე-მაია,  
 ნონა და არა მაია,  
 ანა და ჭიამაია,  
 კალმახი და შამაია,  
 დუეტი და სამაია,  
 შენ რო დათვალე, მაია.  
 ხოლო გურული მაგია —  
 მაგია!

**მაჯავახეთს რა მიხდოდა**

ჯავახეთო, მაღლი შენი წამალივით მიშველიდა,  
 თუმცა წმინდა გივარგივით ვერ-კი გივარგივარ:  
 ვერ ვარ ჯავახიშვილი და  
 ჯავახაძე კი ვარ.

**ქველი ქუთაისის გახსენება**

მე მახსოვს რიონის მეტივე:  
 მეტისმეტს შველოდა მეტივე.  
 მესმოდა აკაკის მოტივი,  
 როდესაც — ურემთან მოდავე —  
 ფოლადის სხვა ბეჭემოტივით  
 მობრძანდა სხვა ლოკომოტივი.

**ქუთაისი. სარაჯიშვილის 47**

**ანა კალანდაძის მოტივი**

ეზო იტალიური ანუ პავილიონი,  
 ჩვენს ჭიშკართან ყოველდღე მოდის ფოსტალიონი,  
 ხოლო როცა რაჭაში თოვლი იწყებს დადნობას,  
 ლამის სახლში შემოვიდეს რიონი.

**ანტიმაჯამა**

რა თქმა უნდა, სმა-ჭამას  
 ვერ ვუპოვნი მაჯამას,  
 მითუმეტეს — ჭამა-სმას,  
 თუნდაც ძილში ჩამესმას.  
 დაილოცოს მაჯამა,  
 ბევრჯერ პური მაჭამა,  
 სირცხვილი არ მაჭამა  
 და არც შიში მაჭამა.

**ქპრივი მამაკაცისათვის**

ვინა ხარ და რა ხარ?  
 თანა-მედროვე ხარ:  
 აფსუს, ცოლი — აღარ!  
 საყვარელი — ვეღარ!

**ღირიკა — პრეზაპალინი**

დოზები გადავამონმე და, რაკი მაინც მაციებს,  
 ფსალმუნებით ვკითხულობ წამლების ანოტაციებს.  
 და, რაკი არ მოეწონა ჩემი პულსი და მიმიკა,  
 ცნობილმა ტრავმატოლოგმა გამომიწერა „ღირიკა“,  
 რომელსაც იმათ ენაზე რქმევია — პრეზაპალინი,  
 და, ვიდრე დამჭირდებოდეს ჟანგბადის მინი-ბალონი,  
 მე უნდა ვუსაყვედურო პრეზაპალინის ნათლიას:  
 თქვენმა „ღირიკამ“ დამკრა და ნარკოზიანივით მათრია.  
 ბარემის გამოგენვითა ბოდღერი ანდა ხაიამ,  
 რომ უფრო გაგვახალისოს ლოთების ოხოხოიამ.  
 მე კი, როგორაც გვასწავლის მარტივი გეომეტრია,  
 მერჩია, ჩემი სხეული ბოლომდის თვითონ მეთრია,  
 რათა მეხილა, რაკილა გავკიცხე ექიმბაშობა,  
 ჟამი — სიბერის შემდეგი — ანუ მეორე ბავშვობა.  
 ვიხილავ, კარგად გავარჩევ სამიანსა და ორიანს,  
 თუ გადავურჩი როგორმე „ღირიკის“ ეიფორიას,  
 რომელმაც ისე შემცვალა და ისე გამამაყა,  
 რასაც ამ დილით დავწერდი, იმას ვერ დავწერ ამალამ.  
 ნავალ და აფთიაქართან ბიჭივით ავიტუზები,  
 რომ დამიდგინოს „ღირიკის“ ოპტიმალური დოზები.  
 იყო ღარიბი პოეტი, რაინდს აქებდა ნაბდიანს  
 და სამიკიტნოს ეძახდა სანწყალი კაცის აფთიაქს.



აკა მორჩილაძე

# ჯეიმს ფილდის ცხოვრების ამბები, ამოკრეფილი ნიუბეიტის ახალი კალენდრიდან ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან „მისპოპერი“

დასაწყისი პირველ გვერდზე

საზიზღარმა ლეოპოლდმა კი ბრძანა, რომ რიჩარდის საკნიდან საწოლი გაეტანათ და იქ მხოლოდ ტახტი დაეტოვებინათ. ამიტომ, ტუსალი იძულებული შეიქნა, ან წოლილიყო, ან ფეხზე მდგარიყო, რაც მეფისთვის სრულიად შეუფერებელია, თუ ამას რამე განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვს. რიჩარდმა მოიფიქრა, მარჯვენა იდაყვით ჩამოყრდნობდა ტახტის სახელურს და, ამგვარად, თან მდგარიყო, თან მჯდარიყო, თან წოლილიყო იმ სპარსულ ხალიჩაზე, რომელიც მისმა კეთილმა ნახევარდამ მარი დე შამპანმა გამოუგზავნა შამპანიდან საერთო დედამათის, ელენორ აქვიტანიელის სახელობაზე.

რიჩარდის მიერ არჩეული სხეულის ეს მდგომარეობა დიდ მოლოდინს გულისხმობდა, ხოლო მოლოდინის არსი ის იყო, რომ შამპი ლეოპოლდს განკვეთდა. ამიტომ მოლოდინის ამ ფორმამ რიჩარდის გარეგნობა გადაასხვაფერა.

მსახიობები კარგახანს უარობდნენ მისი როლის გასახიერებას, განსაკუთრებით მისი შემდგომი ტუსალობის დროს, როცა გამოსასყიდის მოიძებნა რომის იმპერატორმა ის ტრიფლის ციხე-სიმაგრეში გამოკეტა.

ტახტის საკითხი იქაც წამოიჭრა, მაგრამ ის სხვა დროის და სხვა ადგილის ამბავი იყო, რომელსაც ჯეიმს ფილდს ვერაფრით დაეუკავებინებო.

ერთხელ ჯეიმს ფილდს კრივის ჩემპიონის ქამარი შემოარტყეს.

მას ეკუთვნოდა ხსენებული ქამარი, რომელიც ორი ბრილიანტით და იმ ქვეყნების დროებით დაემშვენებინათ, რომელთა შესახებაც მას ძნელად რომ რამე სცოდნოდა.

ერთ პარასკევ საღამოს მან განთქმული ფრანგი ჯეილი გალახა კაპო ვერდეს კუნძულზე და ინგლისის საკრივო სიამაყე დაუბრუნა, იმის მიუხედავად, რომ ირლანდიელი იყო.

ფრანგი ჯეილი უბრალოდ დიდი მოკრივე კი არ იყო, არამედ პოსტერების ბიჭიც, რომელიც წარმოუდგენლად განთქმულ ფრანგ მომღერალს ხვდებოდა და მასთან ერთად იწვა კიდევ.

მას ცხვირი ათ წელიწადს გაუტეხლად შეენახა და დიდად განსხვავდებოდა ჩვენი ჭორფლიანი ჯიმისგან, რომლის ერთადერთი ხიბლიც ირლანდიულ ჯვარზე დახვეული ეკლიანი ვარდი იყო, რომელიც ერთგვარი ოსტატობით ამოესვირინებინა მის მარჯვენა მკლავზე მამა პადრიგს, რომლის მიღწევებიც ნატიფ ხელოვნებათა დარგში დღემდე აღიარებულია.

ჯიმის მარცხენა საფეთქელს მოკლე ნაიარევიც დახსომებოდა, მაგრამ მისით მოხიბვლა უფრო გემოვნების საკითხი იყო, ვიდრე სახელოვნებო უნარის აღიარებისა.

ადამიანი, რომელსაც ნუგეში არასდროს სწევია.

უტყვი, გაურკვეველი, ეგებ იღუმალი მოუსვენრობა, რაღაცის დაუძლეველობა ბიჭობიდანვე სდევდა თან იმ საღამოდან, როცა პირველად ეჭირა ხელში ლამის ქოთანი, რომელშიც უშნოდ შეზარხოშებული მამამისი შარდავდა.

ჯეიმს ფილდი ცამეტი წლისა იყო, როცა ოჯახის ფრთათა ქვეშედად სამუდამოდ გამოიხსნა თავი, დაუდგობლად დააგდო სახლი და მოყვარე დედა, ბების დუქანი გაძარცვა და, იქაურ გროშებთან ერთად, საგზაოდ ერგო ნესტოებში სამუდამოდ გამჯდარი მამისეული შარდის სუნი.

მან ლონდონის კენ გასწია, რადგან იგი ადგილთა ადგილად წარმოედგინა, ჯურღმულად ზედაპირზე, სამოთხედ ჯოჯოხეთს რომ აუშენებია.

მშვიერმა და მოუხერხებელმა, მისი ორმოცდამესამე კუზენის ნაქონი ფეხსაცმლით როგორც მოსიარულე ჯეიმს ფილდმა ლონდონში შემოაბიჯა და იმავე დღეს გაძარცვა ბრმა მევიოლინე ვიადუკის ტავერნის შორიხლოს, ჯინის ადგილთან, რომელიც ნიუგეიტის ციხიდან ორიოდ ნაბიჯში ხმაურობდა.

ჯეიმს ფილდი არასდროს ყოფილა სიმბოლოებისა და ბედისწერის ადამიანი. ის უბრალოდ ყმანვილი კაცი იყო, რომელსაც ფოლადის მუშტები აღმოაჩნდა. ის ლონდონში ფეხის ჩამოდგმის წუთიდანვე განწირული იყო, რომ მოზარდთა იმ ურიცხვ გუნდებს შეერთებოდა, ჯიბის ქურდობითა და ქუჩაში ძარცვით რომ ირჩენდნენ თავს. მაგრამ მისი მუშტები ამას გამოირიცხავდა. უმაღლესი ქურდებს წაართმევდა

ნაპარავს, ვიდრე თვითონ ჩაუძვრებოდა ვინმეს საფულის ართმევის იმედად.

მას სხვა მინდვრები ელოდა. ჯიმის განსაკუთრებულობის იყო, რომ სამყაროს სრულიად მოუხერხებელი კუთხიდან ხედავდა.

ალბათ, ასეთად დაიბადა.

უღალი ქორჩის გამო სული იოლად იმახსოვრებდნენ, მაშინაც კი, როცა კეპის ჩამოფხატვას ცდილობდა. ამის მიუხედავად, არც პარიკი უშოვნია ოდესმე, არც დღისით გადასაცემელი სამოსი.

რა გასაკვირია, რომ ჯიმი შუალამის კაცი გახდა. ასეთები მსხვერპლს განთქმული ტავერნების, ჯინის ადგილების, ელის სახლების, რესტორნებისა და მიუზიკ ჰოლების, თვით თიატრების უკანა შესასვლელების შორიხლოს უდარაჯებენ ხოლმე ვესტ ენდის გულისგულში და გაიტყველებენ კი თვის ლეიბზე გამოლილი საკუთარ საწოლს მხოლოდ გარიჟრაჟზე თუ უწევენ. მისგან გაძარცვული ადამიანები პოლიციაში აღწერდნენ ხოლმე გრძელხელეა, ტანმოკლე სილუეტს, რომელსაც ხელში ქვა ეჭირა.

რა თქმა უნდა, ეს ქვა არ იყო. ჯეიმს ფილდი საკუთარი მუშტებით არეტიანებდა მოქალაქეებს. ნადავლს ის ცხელ წყალგარეულ ჯინის წრუპვასა და ხნოვან მეძავეებთან ნეტარებაში ხარჯავდა. იმის მიუხედავად, რომ უხდიდა, ამ ქალებს ის ყოველთვის მეგობრებად მიიჩნევდა. ასეთმა ურთიერთობებმა სწრაფად მოუმატა გარეგნობით გამოსაცნობი ასაკი. იმაზე უფროსად გამოიყურებოდა, ვიდრე იყო, მაგრამ ეს არ ანალვლებდა. სარკეს იშვიათად გადაეყრებოდა ხოლმე.

ის სამყაროს ყველა იმ არასრულყოფილებას ახსენებდა, რომელთა გამოც კაცი თავის ქუაზე ვერც დადგება, ვერც დაჯდება და ვერც დანებება.

და მალე ჯეიმს ფილდი შეამჩნიეს. ერთ ღამე ჯიმიმ შავი ლომის ტავერნაში შეაბიჯა დრური ლეინზე, რომლის პატრონიც ჯოზეფ ჰეინი იყო, ლატაკი ლონდონის ყველაზე პატიოსანი კაცი. ჯეიმს ფილდი იქ მარტო იჯდა, სანამ ერთი გამოცნევილი კაცი არ შემოვიდა და შილინგანი არ ჩაუგდო ქიქაში, რომელიც ის-ის იყო, გამოეცალა.

„სუსხიანი საღამო მშვიდობისა, ახალგაზრდავ“, უცნობმა გაიღიმა და თავის ნატის ქუდის კოკარდას შეეხო ორი თითით, „მე აიკი მქვია. აიკი სოლომანი. ნაცნობი სახელია, არა?“

რასაკვირველია, ნაცნობი სახელი იყო. ჯიმის არაფერი უთქვამს, მხოლოდ შილინგს ჩასწვდა თითით.

„როცა მოგონებები იღვიძებს, ჯენტლმენის გონება მეტისკენ მიიწევს“, განაგრძო მისტერ აიკი სოლომონმა, „მე ვნახე შენი ზარდამცემი ირლანდიური მკლავები. შენი ირლანდიური ქვის მუშტებიც. მე შენ კრივის ჩემპიონად წარმომიდგენიხარ და ვიცი დარბაზი, სადაც შენისთანა ბიჭმა ოფლი უნდა დაღვაროს“.

უარი მოკლე იყო.

„ვალმერთებ მშვიერ ირლანდიელ ბიჭუნებს, რომლებსაც ჩემპიონის ვახშამი ფეხებზე ჰკდიათ“, გაიცინა მისტერ სოლომონმა, „მე, როგორც ჯენტლმენი, ვისურვებდი, მსოფლიო ჩირაღდების შუქზე მენახე, ჩემო ბიჭო. მითხრეს, რომ ყბებს უმტვრევ უყურადღებო თანამოძმეებს. ამწუთას შემოგთავაზებ, რომ ეს კანონიერად გააკეთო. მაგრამ რახან სიბნელეში ყოფნას არჩევ, სიბნელეში ველარ დარჩები“.

მისტერ სოლომონმა გასაოცარი ზომის შავი ბოქლომი ამოიღო ჯიმიდან და დახლზე დადო.

„ეცადე რამე მოუხერხო და ერთად ვიმუშავეთ“, მან ქუდი მოიხადა და თმაზე რბილად გადაისვა ხელი, „ეს ის შემოთავაზებაა, რომ ვერ ნაუხვალ“.

ჯეიმს ფილდი შეიქნა იმ ბანდის წევრი, რომელსაც სამოთხის მისაღწევად ძარცვა აერჩია. ბანდის წევრთა უმეტესობა ბარბეიდოსის შესახებ ოცნებობდა, ზოგიერთი კი ესპანეთის შესახებ. მზის შუქის ნაკლებობაზე წუნუნებდნენ და მონაპოვარ ფულს ინახავდნენ.

ჯეიმს ფილდს არასოდეს მიაჩნდა მათი ოცნებები რამედ. იმის მიუხედავად, რომ მდიდარ სახლებსა და განთქმულ მალაზიათა საწყობების კარებს ამტვრევდა, ის კვლავ გრძნობდა მამამისის შარდის სუნს და კვლავაც, ნახევრად მდგომი, ნახევრად მჯდომი, ნახევრად მწოლიარე ვინმე იყო, რომელსაც არაფერი აინტერესებს გარდა დგომისა, ჯდომისა და წოლისა.

მამა პადრიგის აზრით, კიდევ ერთი რამ, რაც ჯეიმს ფილდს რიჩარდ ლომგულთან აახლოებდა, ის იყო, რომ მასაც მსოფლიოს უსასრულობისა სჯეროდა.

ძალიან იოლია, რომ ლონდონი მთელ სამყაროდ ჩათვალო. ამ ქალაქის ზედროული და აზრდაკარგული სიღრმე უბრალო ჯეილებს უბედნიერესი ჭიანჭველების ყოველდღიურობაში ითრევეს, რადგან ლონდონი საქმარის გარემო-ბედნიერებასა და იმედებს აწარმოებს იმისთვის, რომ შავი შეკითხვები სხვენში შემალა. უფრო ღრმა და პირქუში ტიპები კი ხვდებიან, რომ სამყარო ბევრად დიდია, ვიდრე ის სანაცვლო რამეები, ლონდონი რომ გადმოგიგდებს ხოლმე.

ეგებ უცნაურადაც უღერს, მაგრამ ამ დიდებულმა ქალაქმა ჯეიმს ფილდის ნესტოებზეც კი ვერ იმოქმედა.

აიკი სოლომონი ნაპარავის ყველაზე მეტად სახელგანთქმული მიმღები და გადამყიდველი იყო ლონდონში. ის აცხადებდა, რომ ელიზაბეტ ტეილორის წამნამეზბიც კი გაუყვია, რიჩარდ ბარტონის ჩიბუხიც, რომელიც ამ უკანასკნელს უინსტონ ჩერჩილმა არუქა და იან რაიტის ოქროს კბილიც. მისი სახელი სწორედ ამგვარ საოცრებებს და კრივის სიყვარულს ემყარებოდა და არაფრით — მის ქონებასა და ძვირფასეულობას. აიკის უყვარდა, როცა მისგან მონონებულ ახალგაზრდებს ლონდონის ავაზაკთა სამყაროს საფეხურებზე ასვლაში ეხმარებოდა და ჯიმისაც ყველგან დაატარებდა, სადაც კი ცნობილ ავაზაკებს უნდა შეხვედროდა. თუმცა, კრივის შესახებ კვირაში ერთხელ მაინც შეახსენებდა ხოლმე.

აიკი ბანდის ჩვეულებრივი მეთაური არ იყო. მას ბრძანება არ უყვარდა. მისტერ სოლომონი მხოლოდ საქმეს და მიმართულებას იძლეოდა, ანდა იმას ურჩევდა, რაც თანამედროვე ცხოვრებაში სწორად მიაჩნდა.

და მაინც, თვით ისეთი კაციც კი, როგორც აიკი სოლომონი გახლდათ, შარში გაეხვა, რადგან ბიჭებს იმ ცალკე მდგომი სახლის მისამართის გადამონმეხა დაავინყვად, რომელშიც შეცვივდნენ. სამწუხარ-



ოდ, სახლი იმ ჯონათან ვაილდის ერთ-ერთ ყოფილ საყვარელს ეკუთვნოდა, რომელიც დღესაც ახსოვთ გარკვეულ უხილავ წრეებში.

მისტერ ვაილდი კერძო დეტექტივი ბრძანდებოდა და ფრთის ქვეშ სამასამდე კაცი ჰყავდა. ძირითადად, შანტაჟის ოკეანეში და ცურავდა და თავს ფარული კამერის გენერალსა და ცოლქმრული ლალატის მთავარანგელოზს უწოდებდა. ამ გაქანების მიუხედავად, ჰაკნელ ბიჭად რჩებოდა და დანაშაული და სისასტიკე მისი რელიგიისთვის საჭირო სანულელები იყო. პოლიციამ კამერები გაება, ლორდებთან სადილობდა. ინდირებდა ქალებს, რომლებიც ჩელსის ფეხბურთელებსაც არ კადრულობდნენ. გაძარცვული ყოფილი საყვარელი სულაც არ იყო ცნობილთა რიგიდან, მაგრამ ის იყო ახალგაზრდობის ოქროს დროებას რომ ახსენებს კაცს და, იმავდროულად, ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც მისტერ ვაილდი შენდობას სთხოვდა, როცა კისერზე ყულფით იდგა ტაიბერზე, მაგრამ ეს სხვა ამბავია.

ჯონათან ვაილდი ბიჭების შეცდომამ სასტიკად განარისხა. ის ისტ ენდის გულში, ბელ ლეინზე გახსნილ ოქროსულობის მაღაზიაში მიადგა აიკი სოლომონს და არა მხოლოდ ნაძარცვის სრულად დაბრუნება მოსთხოვა, არამედ ჯვილებს დასჯაც. აიკიმ ყველაფერი დაუბრუნა და ზედ ოქროსის ბეჭედიც დაურთო, რომელიც პიტერ უსტინოვს ეკუთა მფევი ჰეროდეს განსახიერებისას განთქმულ ფილმში იესო ნაზარეტელი, მაგრამ ეს არაფრით იყო ზარალის დაფარვას. მისტერ ვაილდი უქმაყოფილო წავიდა და დაიბარა, რომ ბანდის ყველა წევრის გვამს, ერთმანეთის მიყოლებით, ყოველ უქმეებზე ბრიკ ლეინზე დააღვროს იმის ნიშნად, რომ მომავალმა თაობამ სამუდამოდ ისწავლოს შინაურის და გარეულის გარჩევა.

აიკი სოლომონს უყვარდა თავისი ბიჭები. მას უყვარდა ისინი და ისეთი კაციც არ იყო, ყველაფერზე რომ კარგახნის წინ გადაეხიზებინა ცხოვრებაში. ამიტომ გადაწყვიტა ორკესტრი დაეშალა და ცხენები საბალახოდ გაეშვა. ლონდონის გარეთ მშვიდი ნავსადგურების პოვნა სცადა. ამის მიუხედავად, ორი უთავო გვამი მანაც იპოვნეს ბრიკ ლეინზე. პოლიციამ ყველაფერი ყრუ ქადაგის მიერ შეგულიანებულ ისლამისტ ტერორისტებს გადააბრალა, რახან გვამები ავღანეთის მიწაზე ყოველცისმარე მსროლელი ყოფილი ჯარისკაცებისა გამოდგა. რაც არ უნდა ეთქვათ, აიკის ბიჭები იყვნენ.

და ჯვიმს ფილდს, აიკი სოლომონის რწმუნებით, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს, ხვდა ილბალი და კაპერად გამწესდა საუთჰემპტონში. ამერიიდან მას უილიამ (ბილი) ბადი ერქვა, ხოლო გემი, რომელსაც მიანერეს მერე და მერე, სახელოვანი შეიქნა სახელით საუთჰემპტონის ჰერცოგი.

ხსნებული ხომალდის უნდი იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ მეკობრეების წინააღმდეგ ებრძოლა სომალის ნაპირებთან.

ჯვიმს ფილდს ვეშაპებზე მონადირე გემი ერჩია, მაგრამ გარშემო არც ამერიკა იყო ახლოს და არც ის წიგნი, რომლის კითხვაც ოდესლაც დაინყო და მეორე თავს ვერ უწია. კონტრაქტი აიკიმ უმოგონა და ამით გადაარჩინა ჯონათან ვაილდის რისხვას.

განთქმული ნაიარევი სწორედ აფრიკის ნაპირებიდან გამოჰყვა. ტყვეობას ასცდა, მაგრამ ის ჯვილები კი ნახა, ავღანეთიდან მოტანილ ბურკებში რომ ახვედნენ და ჰყიდდნენ. ასევე, ნახა ყურებისა და თითებისგან ასხმული სამკაულები, მძივები და სამაჯურები.

მაგრამ მანამდე იყო ოკეანე და მამა პადრიგი და ჯვიმს ფილდს ახსენდებოდა, როგორ ეჭირა ბებისა მისი ხელი მათი უბნის ეკლესიის მემვიდე რიგში. ხოლო მამა პადრიგი ყოველდღე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე იმეორებდა: პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა.

როცა დუბლინის ჯურღმულებში ხარ და მხოლოდ ფუნთუშაზე ახერხებ ოცნებას, ხშირად ფიქრობ ხოლმე სიტყვაზე, რომელიც იყო ღმერთთან. როცა ის ბიჭი ხარ, რომელიც ბოქლომებს და საკეტებს ამტვრევს ბრილიანტებისა და ნაღდი ფულის მოსაპოვებლად, მაშინაც კი ფიქრობ ღმერთზე და როცა რაიმეზე პასუხისმგება გინევის, მაშინაც კი, რადგან ნახევრად მდგომი,

ნახევრად მჯდომი და ნახევრად მწოლი ირლანდიელი ბიჭი ხარ, მაგრამ როცა გემზე ცხოვრობ და თბილ წყლებში მიცურავ, რატომღაც, მზეზე იწყებ ფიქრს და გგონია, რომ მის ხელში ხარ.

„ეს ისეთი ცხადია, როცა გარშემო სულ წყალია, რომ მეტზე ვერც ვერაფერზე იფიქრებ“, უთხრა ჯვიმს ფილდმა ერთხელ აიკის.

და ზღვის ურჩხულებიც გარშემო იყვნენ, ეტყლაშუნებოდნენ გემის ფერდებს. მეზღვაურები ითვლიდნენ, რამდენჯერ მიეხალენ ისინი გემის სავარსკვლავე და სანავსადგურო ფერდებს და ვარაუდობდნენ, რომ გემი დანიშნულების ადგილს მიაღწევს.

გუნდის სქოთური ნაწილი ამტკიცებდა, რომ გემს კირინ-კროინი სდევდა, რახან ამპარტავების ჩასახრჩობად საჭირო ნაბიჯები არ გადადგმულა და ამ ურჩხულს კი ამპარტავება იზიდავს. თუმცა, ზღვის ძველმა ძალეებმა ცოტა მეტი იცოდნენ, ვიდრე სქოთურ ხალხურ თქმულებას შეეძლო, აეხსნა.

გემს, უმეტესად, უზარმაზარი ქალთევზები აწუხებდნენ. გაზაფხული იდგა და თავდავინყვები უნდოდათ ვინმეს ცდუნება. ეს სურვილი მათ უთავმოყვარეო, დაუპატიჟებელ მანანალებად აქცევდა.

ქალთევზებს გემები არაფერში სჭირდებათ, ისინი კაცებზე გიჟდებიან. უზარმაზარი ქალთევზების უბედურება ისაა, რომ ისინი ვერავის იტყუებენ, რადგან მეზღვაურებს მათი ზომისა ეშინიათ. გამოდის, რომ ეს ქალთევზები უბედური არსებები არიან, ისევე, როგორც დიდი ხნის წინათ გადაშენებული გოლიათები. უზარმაზარი ქალთევზები გადაშენებული გოლიათების უპასუხო სიყვარულს განასახიერებენ. იმავდროულად კი, მათი არგადაშენების მიზეზი უტნობია.

სომალიელმა მეკობრეებმა დაარწმუნეს ჯვიმს ფილდი, რომ დედამიწაზე კაცი თავს ვერსად შეაფარებს. ასეა თუ ისე, ეს ადრეც ცხადი იყო, მაგრამ მეკობრენი მაინც ხალხით შეახსენებდნენ.

ამის მიუხედავად, სიყვარული გარშემო ფრენდა. ფრთხილებდა.

მამა პადრიგს უყვარდა ხოლმე მოყოლა, რომ ერთხელ რიჩარდ ლომგულმა გადაწყვიტა, თავისი და სალაღინის ძმისთვის მიეთხოვებინა, მაგრამ რომის პაპმა თით დაუქინა და განკრებით დაემქურა, ისევე, როგორც მის დამატყვევებულ ლეოპოლდს მისივე დატყვევებისთვის. ჯვიმს ფილდი არასდროს ყოფილა ის კაცი, პაპი რომ დააკავებდა. იმის მიუხედავად, რომ ირლანდიელი იყო და მამა პადრიგსაც უქვე მოეხატა მისი მარჯვენა მკლავი, მას მუსლიმი გოგო შეუყვარდა.

ოჰ, რა დიდებული განცდა იყო! ვაით ჩეპელის ყველა მეგობარი გაფითრდა, როგორც პომპეის ფრესკები, რომლებიც ფილდს მაშინ არ ენახა, მერე კი, იქ რომ მოხვდა, კარგახანს ათავალიერა. ზღვის წყალი მტკნარმა წყალმა შეცვალა. მეკობრეები უსუსურმა მწერებმა და ცხოვრებაში პირველად მისი ნესტოებიდან მამის შარდის სუნი გაუჩინარდა. ის იდგა, იჯდა და ინვა.

ეს იყო ალულაში, მაჯერთინის დედაქალაქში, შავ გზაჯვარედინზე, სადაც საუთჰემპტონის ჰერცოგი შეცურდა ბრძოლებისგან ამოსასუნთქად.

ის მუქ იასამნისფერ ნიჯაბში გამოხვეულიყო და ამიტომ მისი სხეულისა ვერაფერი მოსდებდა კაუჭს ჯვიმს ფილდს, მაგრამ იყო თვალები, რომლებმაც დაასრულეს ჯვიმს ფილდის სიყმარული და გაათავისუფლეს იგი. მას არ განაჩნდა ყარანარი უნარი მათი აღწერისა.

ზოგჯერ ამბობდა, რომ ეს თვალები შავი იყო, ნაპერკლიანი, მზინიანი, გიშერივით. თუმცა, ასევე ირწმუნებოდა, რომ მათ რაღაც მენამულიც გარეოდა, შემტევი და მიმზიდველი. ზოგჯერ კი ისინი არსებობდა, როგორც ღრმა, საიდუმლო, განუსაზღვრელი სივრცე, რომელიც მხოლოდ მისთვის არსებობდა.

მამა პადრიგს არა მხოლოდ სხეულზე ხატვის ნიჭით იცნობდნენ, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობების მეცნიერების ფლობითაც. ამიტომ რახან გამოუძვობით ისმენდა ჯვიმის აბდაუბდას თვალების შესახებ, მან ურყევად ურჩია გამიჯნურებულ კაპერს იდუმალი მზეთუნახავის მოტაცება. სამყაროს ამ მხარეში ასე ხდებოდა.

ერთ დროს ჯვიმს ფილდი იოლად ამტყვევდა ლონდონელთა ყბებს და საკუთარი

ბებიაც გაეძარცვა, მაგრამ საცოლის მოტაცების შესახებ არაფერი სმენოდა. გასაკვირი კი იყო, მაგრამ ბიჭები ალტყინებით ეთანხმებოდნენ მამა პადრიგს. მეზღვაურები ქალის გემზე ყოფნას დიდად არ მიესალმებიან ხოლმე, მაგრამ ესენი ხომ მეზღვაურები არ იყვნენ, „ქალბატონი გვეყობლებ“, თქვის მათ, „ბედნიერებაა, რომ მომაკვდავს ასეთი ქალი გეჯდეს სასთუმალთან“.

ეს ის სახეხატება იყო, რომელსაც ვერ ნაუხვიდოდა.

მამა პადრიგმა მეთაურობა იკისრა და შვიდი ჯადილ შეარჩია, ჯიმი კი არ გაიკარა, რაც ასევე ქალის გამოტაცების მაჯერთინული ადათით ახსნა: სასიძო შინ უნდა დაელოდოს საპატარძლოსო. თავზეხელაღებული რაზმეული დაბნელებას დაელოდა, რაიც მიჯნურის საუკეთესო მეგობრად და აღიარებულ.

მათ ყველაფერი მშვენიერებად გამოუვიდათ. საპატარძლო ნაპკურები ცხვირსახოცით მიადინეს, მისი რვა მცველიდან სამი გაასაღეს და ქალი ჯვიმს ფილდს მოჰგვარეს, თუმცა, რახან საპატარძლოს ეძინა, ჯვრისწერა გადაიღო. მამა პადრიგმა დაიფინა, რომ ის აუცილებლად უნდა მოენათლა, რადგან ყველას ეგონა, რომ ქალი მუსლიმი იყო. მერე ნამოჭრა ანგლიკანისა და კათოლიკეს ჯვრისწერის საკითხიც, რახან მამა პადრიგს მხოლოდ ანგლიკანად მონათვლა შეეძლო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალი ქრისტიანი იყო: თავისი ქვეყნიდან გამოქცეული ეთიოპიის პრინცესა იყო და სახელად ზენებვორკი ერქვა.

ეთიოპიის კომუნისტი დიქტატორის მეგისტუს ხალხს ადრინდელ დაედინა გადაძალადული პრინცესას ასავალ-დასავალი, იცოდნენ, რომ მშვენიერ ალულაში ცხოვრობდა და მის სახლსაც უთვალთვალეობდნენ. როდესაც ლამის სიბნელის მიუხედავად, მათ იეჭვეს, რომ რახან სახლს დასავლური იერის რაზმეულმა შეუტია, საქმეში ემ აი სიქსი ჩარეულა, რათა პრინცესა გაიტაცოს და იმპერიალისტურ ტელევიზიებში მენგისტუს რეჟიმის წინააღმდეგ ალაპარაკოს.

მოსალოდნელი შედეგებით შეშინებულმა ჯაშუშებმა სომალის განსაკუთრებული დანიშნულების პოლი იქირავეს და გამთენიასვე შეუტყეს საუთჰემპტონის ჰერცოგს. მოდუნებულმა ეკიპაჟმა ხელი ძნელად გამოიღო და შემტევებმა პრინცესა ინადავლეს და გემი ცეცხლს მისცეს.

ბრძოლა ნაგებული იყო.

სიყვარული კვლავაც სწავდა ჯვიმს გულს. კვლავ გრძნობდა მამამისის შარდის სუნს და კვლავაც ნახევრად იდგა, ნახევრად იჯდა და ნახევრად ინვა.

მან მერე და გაიგო, რომ მისგან ასე შეყვარებული თვალების მფლობე ეთიოპიის პრინცესა იყო და, იმავდროულად კი, საბას დეფოფლის შთამომავალი, რომლის შესახებაც ჯვიმს ფილდმა არაფერი იცოდა. ამ ძველი დინასტიის შესახებ მამა პადრიგმა ფრენისას უამბო.

„როცა ნასასვლელი არსადაა, ინგლისელი შინ ბრუნდება“, თქვა მან, „შენ ინგლისელი არ ხარ, მაგრამ ჩვენ კვლავ საერთო ჭაპანს ვენვეთ“.

ისინი კარგად გამოიპარნენ, მამა პადრიგმა გერმანიის მოქალაქეთა პასპორტები იშოვნა ალექსოში. მათ ოსკარ შმიდტი და ვილჰელმ გიეგერი ერქვათ. მერე მათ ოსმალეთის მინები გადაიარეს და ანატოლიაში პურს მამა პადრიგის მიერ ხელსწრაფი ფოკუსების კეთებით მოიპოვედნენ.

მოგვიანებით ვენაში ცხოვრობდნენ, ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დედაქალაქში თუ ყოფილ დედაქალაქში. მათთვის სულერთი იყო. ქალაქი გადაეცესოთ საბჭოთა განგსტერებს, იუგოსლავიელი დისიდენტებს და ბოშა მევიოლინეებს. ყველა ამათგანს ოქროს ძენკები ეკეთა და ყველა ამათგანი ლალობდა.

ერთ საღამოს მამა პადრიგი გულჩანყვეტილი დაბრუნდა.

„ვენა უხსოვარი დროიდანვე ძალიან ლამაზად დახატული სოფელია, ჩემო ბიჭუნავ. აქ როკენროლს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში უბერავდნენ. მაგრამ ის დრო წავიდა. აქ მოცარტის საფლავია, მაგრამ ქვა არ ადევსო, ამბობენ. სულაც არ მინდა, შეგანუზო, მაგრამ ჩვენ შენი მუშტები გეჭირდება და ეს ის ადგილი არ არის, სადაც მათ კარგად გამოვიყენებთ“.

პირველ ქალაქს, რომელმაც ჯვიმის მუშტების მიმართ რაღაც გამოხატა, მიუნხენი ერქვა.

იქ იყო ლუდხანა, რომელსაც ბიურგერბრაუკელერი ერქვა და რომელშიაც პარასკევობით ჩხუბებს მართავდნენ ხოლმე. ჯიმი ჯერნიმენი ფულისთვის მეტროლი შეიქნა, მამა პადრიგი კი მის მენეჯერად და პირსახოცის მეთვალყურედ დასაქმდა. მათ ერთგვარი ამრეზილობა იგრძნეს მას შემდეგ, რაც მანჩესტერ იუნაიტედმა მიუნხენი დაამარცხა, თუმცა ცხადია, არაფერშია იყვნენ და იმ თამაშისთვის არც კი უყურებიათ.

იმავდროულად, ისინი მოწმეებად გამოიხატეს სასამართლოში შეუმდგარი აჯანყების საქმეზე. ვილაც ქვიმისფერ ფორმებში ჩაცმული ჯვილები ბიურგერბრაუკელერში შეცვენილიყვნენ და ქალაქში ძალაუფლების აღებას შეეცადნენ.

მოკლედ, იქ ყოფნა საკმაოდ შემანუხებელი გამოდგა და წყვილმა ჰამბურგისაკენ მიმავალი მატარებლის ბილეთები აიღო. ფულისთვის ჩხუბს იქაც ვეგარიანად მსდევდნენ. ქალაქს მხიარულება და სიმთვრალე ეტყობოდა, ნავსადგურიც იქვე იყო და ლამის კლუბებში ბრიტი ბიჭები ახალ ლანკაშირულ მუსიკას უკრავდნენ, რამაც მამა პადრიგი ისე აღაფრთოვანა, რომ გადაწყვიტა, ბიჭებს დახმარებოდა და მათთვის საკონცერტო მოგზაურობა მოეწყო. ჯვიმს არ წყენია, ორივენი გრძობდნენ, რომ თავთავიანთ გზებს უნდა შედგომოდნენ.

„მხოლოდ ერთი რჩევა, შვილო“, ნეონით განათებული რეპერბანის ბორდელების შუქზე გადაეხვია მამა პადრიგი კრივში უკვე ვეროპის ჩემპიონს, „მე ვიცი, რომ ნახევრად დგახარ, ნახევრად ზიხარ და ნახევრად ნევეზარ და სიყვარული მოგპარეს. ვიცი, რომ სუნი დაბრუნდა შენს ნესტოებში, მაგრამ მთელი ეს ნაგავი ძალიან ღრმად ჩამარხე გულში მანამდე, სანამ მსოფლიო ჩემპიონი არ გახდები. მე მესიზმრა, რომ შენს პრინცესას იპოვნი. მგონია, რომ მართლაც გაქვს რაღაც რიჩარდ ლომგულისა. შენს მწვანე ტრუსებზე ამიტომაც დავანერინე ლომგული. ეგ იყოს შენი საკრიგო სახელი. შინ დაბრუნდი, შვილო. რიჩარდი თავისი ტახტისაკენ მიმავალ გზაზე მოკლეს. შენ ამას უნდა აცდე“.

მამა პადრიგმა მას ბრიტანული პასპორტი გაუწოდა. ბილი ბადი ლონდონის გზას დაადგა.

მონატრება არ ყოფილა. მაგრამ იყო რაღაც ძველი, ნანვიმარი ქუჩების სურნელსა და ელის ნოტიო კათხას შორის გაჩხერილი. ჯვიმს ფილდი კვლავაც ნახევრად მდგარი, ნახევრად მჯდომი, ნახევრად მწოლიარე კაცი იყო, რომელსაც სიმშვიდე ვერ ეპოვნა. მან ვაიტჩეპელზე ერთ-ერთ პანსიონში დაიჭირა ოთახი და იმ ადგილიცკენ განსნა, რომელსაც კვლავ ამუშავებდა ჯოზეფ ჰეინი.

იქ უმეტესად ნაცნობი სახეები ჩანდა, ოლონდ მანინც რაღაცით სხვა, მეცვლილი. მრუდ დარბაზის სიღრმე აიკი სოლომონის ასხეპილი სხეული გამოეყო.

„ბუდეს დაუბრუნდი?“ ღიმილი შინაურული და ტკბილი იყო, „სწორი ადგილია მსოფლიოს დაპყრობის დასაწყებად. ცხვირი კარგ მდგომარეობაში გაქვს“.

ჯვიმს ფილდმა დაბრუნების მეორედ დღეს ენი ჩემპენი შეერთო. ენი თერამეტი წლით უფროსი იქნებოდა, ჯვიმის პანსიონში შეეჩხვა და ერთად ცხოვრება შესთავაზა. დილით ყველაფერზე შეთანხმდნენ.


„მოკირვეს ცოლი სჭირდება“, თქვა ენი, „ეგებ ქალაქის ყველაზე ცნობილ ვინმებს აძიციებდეს, მაგრამ მაინც წირდება ქალი, რომელსაც უმიზეზოდ სცემს და უმიზეზოდ მოახტება ხოლმე. ახლა კიდევ ცოტა ფული დატოვე ჯინისა და საჭმლისთვის, კვიცი. ისტ ენდში ასე ვაკეთებთ“.

მოგვიანებით ისინი სტრდენზე გადავიდნენ, განთქმულ სასტუმრო ვოლდორფში. მამის ჯიმი უკვე მთავარი პრეტენდენტი იყო — თერთმეტი ბრძოლა, თერთმეტი გამარჯვება. აიკიმ საქმე კარგად იცოდა.

მორიგმა ბრძოლამ ჯვიმის დუბლინი მოუწია და წინდანი ლია ბარათი და რაღაც ფული გაუგზავნა დედას, მაგრამ მისმა მშობლებმა ბილი ლაიონჰართთან შეხვედრა იუარეს და არც ის გაუმხელათ, რომ ეს ლომგული მოკრივე მათი ვაჟი ჯეიმსი იყო. სამაგიეროდ, ბუბიამ ვაშლის ნამცხვარი გამოუგზავნა და მას ჯვიმისგან დედისთვის გაგზავნილი ფულიც მოაყოლა. შვიდი დიდან კი არცერთი არ გაეკარა.

ჯუანშერ ტიკარაძე

ქეთი



ოდა სიცოცხლეს

1 ჩემი საფლავის სარეველამ ამოხეთქა ნეფე-პატარძლის საქორწინო სარეცელზე ჩემი საფლავის მინა ნაეყარა ცას

2 ნამითაც არა ნამითაც არა რჩება ჰაერში ცეცხლში ჩამქრალი პეპლის ნაფრთეულები მერე კვლავ იკვრება და მკვრივდება მარადიული ღამე

3 ტანჯვის შვილებმა დავუჩინეთ შვილიშვილები და შვილთაშვილები ტანჯვას გულისკანკალით მივაბარეთ სიკვდილს გასაზრდელად

იუდა. დეკემბრის ბოლო

კოცონის კვამლი გადახრილი ადის ზეცისკენ. ქვიან გორაკებს მოსდებია ძეძვი და ღვია. ტაძრის ეზოში უღმერთოდ ყვლეფს მუშტარს ისაკი, თან მოსეს ჰფიცავს, რომ ასარიც არ მოუგია. როკავს რაკელი, ფუნდუკებში ჩანგს აუღერებენ. სისხლის სიზმრებში წყევლით ხაზავს კეთროვან რკალს მზე. ცარიელ ბადეს დასცქერიან თევზისმჭერები და მტრედის ჩრდილი მისრიალებს აქოჩრილ წყალზე. შეპყრობილები, მკელობლები, გლახები, ბრმები... ცოცხლად იხრნნება სახიჩარი ფერდგამომპალი. ქრება ნათელი, რჩება ბნელი, და ბნელიც ქრება: არეულია ერთმანეთში ბზე და ხორბალი. სად ჰპოვოს შვება საბოლოო, არ იცის სულმა! გულის განძი კი აბარია მიწას სნეხიანს. ქვაფენილს ქელავს რომაელთა მძვინვარე ტურმა და ძაღლებიც კი სოროებში იმალებიან. ხტის კამათელი,

ბზინავს ვერცხლი. ჯვრები. დილეგი. არა მშვიდობა, ცეცხლოვანი მოჩანს მახვილი. ცხადს ცვლის სიზმარი სათრიაქე ფიქრის სიშლეგით. სამსხვერპლო კვამლი უფლისაკენ ადის დახრილი. აი, მწყემსები შლიან ბანაკს ბნელის გასათევს, ნაჯიჯგნი მინა ტანზე იფენს ბინდისფერ ბისონს. ამალამ ცაზე გაბრწყინდება ახალი მნათი და ეს სამყაროც შეიცვლება სამარადისოდ.

გალაკტიონის პისტოლტაპი

დღის ბოლოს ქენჯნა თვლემს ათიოდე. ჯერ შიში ჩავა. ჩავა მერე მზეც, ამ ღამეების მჭრელ ნამსხვერველებზე შიშველი სულით რომ დადიოდე. მერე კი, როგორც მოძმე-მოსისხლე, მოვა დრო — ბილნი, საჰარამხანო — და მოგინდება, შუბლი ახალო ტყვიას, რომელიც შენ ჩამოგისხეს.

სარდალი

დამარცხებული სარდლის მეომარი თავჩაქინდრული მიუყვება მტერიან შარავ ზას შინისაკენ, ქენჯნის ჩახოცილი თანამებრძოლების უილაჯო გახსენება, თან უხარია, თვითონ რომ ცოცხალი გადარჩა.

\* გამარჯვებული სარდლის მეომარი თავდახრილი მიუყვება მტერიან შარავ ზას შინისაკენ, ქენჯნის დაცემული თანამებრძოლების უსაშველო სიახლოვე და სტკივა, თვითონ რომ ცოცხალი გადარჩა.

\*\*\* ცაა საცრემლე, დიდხანს ვერც უმზერ, და მერე, როცა თვალებს დაგხუჭავ, ეს აივანი — ნოეს ნაჭუჭი — ატივტივდება არყოფნის ზღურბლზე. ჰო, შეაკრობს შიშს გზა უწინათმზე და ლავამს შური დაღრღნის გაქირი. რა ენაღვლებათ მერცხლებს, დაქრიან, კვლავ მამა ღმერთი ზრუნავს იმათზე. ძირს ქუჩა ბორგავს. ფრთხილი შეხებით ათრთოლებს სევდა სმოგის ბალახონს. თიხად თუ ფერფლად? ნვეთად? ბალახად? — მე მაინც მოვალ. კიდევ შევხვდებით.

ჩართვა

დისტანციური მუშაობა უკეთეს შემთხვევაში შეიძლება, ჩანაცვლდეს დისტანციური სიყვარულით, მაგრამ დისტანციური სიყვარული, თუნდაც შედგეს ეს კავშირი, ვერ შეცვლის ცივ ღილაკებს მფეთქავი კანით. ამიტომ ამ საღამოსაც, სიყვარულზე დარდის მაგიერ, ვიჯდები და შევავროვებ ცნობებს, ამაჯერად, მიქელ თამარათზე\*.

ჰო, ამ საღამოს მისი მადლიერი ვიქნები, რადგან ახერხებს, გადაიტანოს ჩემი ყურადღება შეუძლებელი სიყვარულიდან მის მიერ ნაგრძნობ და განხორციელებულ სიყვარულზე:

შემიძლია, ნარმოვიდგინო, როგორ ფურცლავდა აღმოჩენის მოლოდინით მტერიან კაბადონს ევროპის საცავებში, ან ვიფიქრო მის სიკვდილზე — სხვის გადასარჩენად ზღვით დახშულ სუნთქვაზე, დაახლოებით ისეთზე, რისი შიშითაც დღეს სიყვარული დისტანციური გახდა, მე კი დისტანციურად ვმუშაობ.

— ჰადრე, რამხელა დისტანციაა, მთელი საუკუნე, მაგრამ ამ ლექსში შენზე ვნერ და ჩემს სიყვარულს ვგულისხმობ. მანძილზე ვნერ და მარტოობას ვგულისხმობ: ბინას, რომელშიც მარტო ვზივარ, როგორც საკანში და სიყვარულის სურვილს ვახშობ.

კავშირი წყდება, აქ, თბილისში, სამაგიეროდ, სანტა მარინელას\*\* ვუკავშირდები.


\* მიქელ თამარათი — მიხეილ თამარაშვილი (1858-1911), ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, კათოლიკე მღვდელი. \*\* სანტა მარინელა (იტალია) — მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალების ადგილი.

სხვა ახსნა

როგორ შეიძლება, დედამინაზე ცხოვრობდე და განმეორების არ გჯეროდეს? ზამთარს გაზაფხული მოსდევდეს, ძილს — გაღვიძება, ცაში ასული მზურვალეა წყლად ბრუნდებოდეს, აღებული მარცვალი — ახალ მოსავლად და არ გჯეროდეს. ფიქრობდე, რომ ყველაფერს ეხება ეს შენ გარდა. ათწლეულების წინ გადაშენებული თეთრგულა ღაღა კვლავ დაბრუნდა ავსტრალიის სანაპიროზე. გრძელი ღამე სინათლემ ჩაუნაცვლა, მისი ციკლური მარშრუტი კვლავ ალორძინდა, რადგან დათბა მის გაზაფხულში. განა შეიძლება, ეჭვი შეგეპაროს ღმერთის არსებობაში? ღმერთი დაბრუნდება. წრე. ციმციმი საცეკვაო მოედანზე. ღამის გადილება. კვლავ ნათელქმნა.

დაბალი რეზისტრი

მხოლოდ მოედნებზე დაძახებული სიყვარულია სარწმუნო. მე კი ყოველთვის დაბალი ხმა მქონდა.





### გზირიშვილი

ამქვეყნად მხოლოდ ერთ კაცს ესმოდა დაბალი ხმა, მდაბალთა.

ბალახის ღერს ნიაგი უტოლდება. ვინც ამ დროს მინდვრად დადგება, სიყვარულის ხმას ისწავლის.

### სიგნალი

არის წლები, როცა სასონარკვეთილი მიმართავ ყველას, ვისაც გგონია, რომ შეუძლია დახმარება, მაგრამ არავის აინტერესებს, თუ რას მაუწყებლობ. ამ დროს უმისამართოდ გაშვებულ რადიოსიგნალს ჰგავხარ, სანამ იმედგაცრუება არ ჩაგახშობს. მერე ყველაფერი იცვლება: ირგვლივ ადრესატები აღარ გყავს, მხოლოდ შენში ლაპარაკობ და ყველგან აწვდენ ხმას.

\*\*\*  
ნეტა რას გრძნობდა დედაჩემი, მე რომ მიჭირდა. ტიროდა მისთვის უცხო მიზეზით? გული ეფლითებოდა? ცრემლებს წმენდდა მისი დედა? ან იქნებ სულ არ მოვიდივართ სხვა ადამიანებად. იქნებ იქვე ვრჩებით, უჩინარნი. იქნებ ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ, თმაზე მისვამს ხელს. იქნებ მე ვარ იქ, სადაც არ უნდა ვიყო. იქნებ დედაც სიზმარში გავიცანი.

### ლაკრიმოსა

მიყვარხარ, ობოლო, რომელიც ღმერთის ხმას ეძებ საწუგუმოს, მშვიდობიანს

ხელებში უკრთი, რათა გამოგხსნას ნემსკავიდან, ქვეყნის ნახვის სურვილით სავსემ რომ გადაყლაპე და მაშინვე ხორცად იქეცი — საკვები გახდი, საპურებელი, შენმა ტანმა გემო მიიღო

მიყვარხარ, რომელმაც თავი შენი მიეცი წყალს და ჩაჰყევი სიბნელეში, როგორც სხივი ციდან ფსკერზე ჩაღწეული


შენ არ გამშვენებს ყალბი თვალები წყალი შენი უღვია და ნაპირი მისი მიუვალი

გიმღერე ეს სიმღერა გიმღერე ეს სიმღერა

ობოლო

რომელი სულიც ჯერ კიდევ ფართხალზე და გჯერა, რომ წყალში ჩაგაბრუნებენ, რომელ სულსაც ჯერ კიდევ გიმართლებს და მიუგნებელ ტბაში ცურავ —

მიყვარხარ.



### ლელა მეტრეველი



\*\*\*  
ასეთია, ალბათ, უფლის ნება, — ჩამიხერგოს ბილიკი თუ ხიდი... ველარ მოვრჩი დაკარგულის ძებნას, ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. „ძალი ყვეს და ქარავანი მიდის“.

თითქოს ფიჩხი ჩაუკიდეს თონეს, გული ისევ ფერფლად ქცევას ელის, საკუთარ თავს ვერ ვპოულობ, თორემ რას დამაკლებს მოყვარე ან მტერი, მოყვრის ნიღბით მოფუსფუსე მტერი.

### ცხოვრება

ქარიშხალივით ამიტაცა, დამაბზრიალა, დამატრიალა, მერე მინას დამანარცხა და ათას ნამსხვრევად გამფანტა. უბედურება ისაა, რომ ჩემი შეკონინება აღარც უცდია.

\*\*\*  
ჩვენს წარსულს არც ვნების ცეცხლი ახლავს, არც გაცუდებული შეპირება, მაგრამ რა დავარქვა ამას ახლა, თვალს რომ გაყოლებ და მეტირება?!

წლები — სუყველაფრის შემმუსვრელი — სტრიქონს შეესივნენ უცხო კილოდ... ზურგით შევბრუნდები, იმ ბოლო დღის ხილვა რომ თავიდან ავიცილო.

\*\*\*  
საით მიდიხარ? მე იქ არ ვარ. იქ მირაჟია. ჩემკენ სხვა გზაა — ჩახერგილი წყენის ლოდებით. ქარი და წყალი ამ ლოდებსაც, ალბათ, დაშლიან. დამელოდები?!

შეჩერდი მაინც. მაგრამ იქნებ სწორად მიდიხარ?! იქნებ შენ უფრო კარგად იცი, რა გააკეთო. იქნებ საითაც მე მივდივარ, იქ სიკვდილია, შენ რომ მიდიხარ, იქ სიცოცხლე — უერთმანეთო.

### ნასოფლარი

უსახლებოდ — ვენახი და ბაღი, ნათურებად — ვარსკვლავების წყება... აღარავინ აღარ არის თითქმის, იმ სოფელზე ვინაც მომიყვება, აქ ოდესღაც სიცოცხლედ რომ ენთო...

\*\*\*  
ვერცხლის შეერევა ხმები ბურუსს ღამეული ბოდვის, — ღვთისგან მივიწყებულ გზებით ზოგჯერ სიყვარული მოდის.

შვებად შეეცვლება ოხვრა ზოგჯერ ხახულსა და ბანას, მოვა ვილაცა და მოხნავს ნლობით მიტოვებულ ყანას.

არ ყვარყვარებენ ოდენ, უჩანს ასპარეზი ნიჭსაც, დედად გვევლინება ზოგჯერ ეს მრავალტანჯული მინა.

### ანგელო

უილაჯოდ ვუცქერ საზღვარს მცოცავს, გაყურსულა ერიცა და ბერიც, ჩემი ჩათვლით, აღარავინ მოჩანს, რომ ნელ სიკვდილს შეუშალოს ხელი.

### ორი პოეტი

ახლა ის კაცი, უკვე ჭალარა, განსაცვიფრებელ ლექსსლა მოგიძღვნის. ახლა ის დაწერს, როგორ უყვარდი, რომ ფიქრით დაგდევს და ოცნებობს, სადმე შემთხვევით თვალი მოგკრას და ერთი ლექსიც მოინადიროს. შენ ილიმები. ოცდაათი წელია, იცი, რომ ცოლად — არა, მხოლოდ მუზად თუ გამოდგები. ეს მანაც იცის. ირგვლივ ყოფაა: მზე და ღრუბლები, საკვები, ფული, უფულობა და ზოგჯერ — შიმშილიც. მასაც რა ექნა?! მინიერ ქალს ამოეფარა, რომელმაც მისცა: ოჯახი, სახლი, შვილები და კეთილდღეობა. მაგრამ ვინ იცის, რომელია უფრო ნამდვილი: ეს ყველაფერი, თუ ალალი ლექსის სტრიქონი, შენთვის მსუნთქავი, შენი სულის სიღრმით მსუნთქავი. თვითონ პოეტი, კარგად ხვდები: შენ გაიმარჯვე, შენ სწორედ წასვლით ის — პოეტი — გადაარჩინე... ახლა ის ზის და, როცა ნიღაბს ჩამოიცილებს, შენი თვალების თაფლით სავსე სტრიქონებს ძერწავს.

### ჯეჯორას

მე მიყვარს შენი ყოველი ჩქერი და — არ მოყვები ტყუილად ფიცის — შენი ლოდების ფორმა და ფერი, დიდი ხანია, ზეპირად ვიცი.

ხან თვალს ვაყოლებ დინებას შენსას, წყალში არეკლილ რაჭის მთა-გორებს, თან გატან სევდას, სიცოცხლის სევდას და, თვალთან ერთად, გულსაც ვაყოლებ,

რადგან დაგკარგავ, ვიცი, ქალაქთან, მე რომ სამყაროს ცენტრი მეგონა, დიდ მდინარეში შეხვალ ამაყად და დასრულდები, ჩემო ჯეჯორა!



ასეც არ შეიძლება, ამხანაგო სტალინო... გალაკტიონი

იმ ბიუსტის გამოგნებულ შთაბეჭდილებას ტუჩების კიდებში ჩაფენილი ცინიკური ლიმილი ქმნიდა. ეს მაინც ლიმილი იყო, ოღონდ ოდნავი, ძლივს შესამჩნევია. ბელადის მედიდური, გაბრწყინებული სახე შიგნიდან იყო განათებული. ეს ოდნავი ნათება მთელ სახეს გადაჰფენოდა, ტუჩის კუთხეებში კი უფრო მკაფიოდ ჩანდა. ეს იყო ცინიკური, მწარე, დამცინავი ლიმილი. გაღიმება ისეთი ძლივს შესამჩნევია იყო, შეიძლება გეფიქრა, ხომ არ მეჩვენებაო და, ხელახლა თუ დააკვირდებოდი ვეება, მასიურ თვალგამოციხულ ბიუსტს, ეჭვი საბოლოოდ გაგიქარწყლდებოდა — ბელადი ილიმოდა. ლიმილი ტუჩის კუთხეებიდან ამოდოდა და ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ ამ ტუჩებს სქელი ულვაში სანახევროდ ფარავდა. მოქანდაკის ოსტატობას ლიმილის სწორედ ეს ძლივს შესამჩნევობა ამჟღავნებდა. ილიმებოდა, დიახ, ნამდვილად ილიმოდა და ლიმილში შემზარაობა გამოსჭვოდა. ბიუსტი პირველად სოფელ დიდებაში შევნიშნე. სამოცდაათიანი წლები იყო და სტალინის ქანდაკებები კარგახნის აკრეფილი გახლდათ. ზოგან პოსტამენტი იყო შემორჩენილი, ქანდაკება კი გამქრალიყო. ამ დროს თბილისიდან კიკეთში მიმავალი ახალი რეისი დანიშნეს: ზომავი მეტად დანჯღრეული ცხვირიანი ავტობუსი დიდებაში ჩაივლიდა, ჯერ იქაურებისგან დაიცვებოდა და მერე კიკეთში ადიოდა. და აი, სწორედ კიკეთში მიმავალმა დიდებაში, ავტობუსის გაჩერებაზე, ტყეში ოდნავ შეწეულ, მოსწორებულ ადგილზე ხშირ შეფოთილ ტოტებს შორის შევნიშნე ეს ბიუსტი. თავდაპირველად ავტობუსიდან გადმოსვლა დამეზარა და შორიდან ვუმზერდი, მერე კი, რახან მძლოლი ჯერ კიდევ არსად ჩანდა, ჩავედი და ბიუსტს მივუახლოვდი. ზაფხული იყო, დაბალ პოსტამენტზე შედგმულ მასიურ ბიუსტს ხშირი ფოთლოვანი ჩრდილი ეფინა და ამ ჩამყუდროებულ ადგილას, ხეების ჩრდილქვეშ ბიუსტი უფრო შემზარავად გამოიყურებოდა. შუბლზე გრძელი, გამჭოლი მზის სხივი ეცემოდა. პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ ალბათ ადგილობრივი მოსახლენი შორიასხლოს ძელსკამზე ჩამოსხდებიან და ბელადის მოსახსენებელს სვამენ-მეთქი. როგორც მერე შევიტყვე, მართლაც ასე იყო, ოღონდ ეს უფრო ნასალამოვებს ხდებოდა. ჩემი იქყოფნისას კი თაკარა შუადღე იდგა. ცოტა ხანში ავტობუსს კიკეთისკენ გავეყვი და ეს ამბავი აღარც გამხსენებია.

მოგვიანებით რომელიღაც ალბომში ამ ბიუსტის ილუსტრაციასაც წავანყდი. წიგნში სტალინის ქანდაკებები იყო თავმოყრილი. მე იმან გამაკვირვა, რომ ამ მივარდნილ ადგილას მდგარი ქანდაკებაც არ გამოჩნდებოდა. თუმცა მაშინვე ისიც გავიფიქრე, ეს ბიუსტი ალბათ ადრე სხვაგან იდგა და მერე დიდებაში გადაიტანეს-მეთქი. ასეც იქნებოდა, რადგან ქანდაკება ამკარად ოსტატის ნახელავი იყო და ასეთ უმნიშვნელო ადგილას არ დადგამდნენ. ამაზე მეტყველებდა ტუჩის კუთხეებში ჩაფენილი ცინიკური ლიმილი. ბიუსტის ავტორი მაინტერესებდა, მაგრამ მის ვინაობას ვერ მივაკვლიე.

\*\*\*


მამაჩემის ძმა, ანრი, 1938 წელს დაიჭირეს და ყაზახეთში გადაასახლეს. მაშინ ის 16 წლის იყო — მეათე კლასის მოსწავლე. მანამდე ბაბუაჩემი პირდაპირ ინსტიტუტშივე „აიყვანეს“ და სწორედ ამის პასუხად დახია სკოლაში მისულმა ანრიმ „რკინის სახკომის“ ეყოვის ფოტოსურათი. დაჭერის დღიდან ისინი აღარავის უნახავს. მამამისის დაჭერის დღე ანრის კარგად ახსოვდა. სკოლიდან თანაკლასელთან ერთად გამოსულმა მახარაძის ქუჩის ერთ ეზოს მიაშურა, სადაც ბიჭები ხშირად თამაშობდნენ ფეხბურთს, შემდეგ ისევ სკოლასთან ახლადგახსნილ საშაქარლამოსკენ დაუყვავა ქუჩას, იქ ერთი ფუნთუშა იყიდა და შინ უნდა წასულიყო, მაგრამ შეეცვინდა, სახლში მისვლა არ უნდოდა. ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა და შინისკენ აღარ წასულა. ჯერ ადრე იყო, ჯერ კიდევ ბევრი რამის მოსწრება შეიძლებოდა; შეიძლებოდა, საპარიკმახეროს მძიმე კარი შეეღო, სადაც პარიკმახერი სანდრო ათას რამეზე ესაუ-

ბრებოდა, ანდა ლერმონტოვის ქუჩაზე კინოკლუბის სკვერში შესულიყო და რომელიმე ძველი ნაცნობი ენახა. იქვე იყო საბილიარდო და ჭადრაკის უფანჯრო ოთახი. იმ ძველ ნაცნობებთან ერთად ანრი ჭადრაკს ითამაშებდა ან ბილიარდით შეიცვებდა თავს. ბოლოსდაბოლოს არ უნდა დაზარებოდა და ბოტანიკური ბაღისკენ აუყვებოდა გზას, რაც არაერთხელ მომხდარა კიდევ, და ხშირ ფოთლოვანს შეერეოდა. ბოტანიკური ბაღი უყვარდა, პატარა იყო, მამას რომ იქ დაჰყავდა. ხიდის კედესთან ერთ შემყუდროებულ ადგილას დასხდებოდნენ გრძელ სკამზე და მამა რალაცას უყვებოდა ანდა დუმდა, ჩაფიქრებულ პაპიროსს ეწეოდა. მამა... რატომღაც გაახსენდა, რომ მამა ზოგჯერ ნაგვიანევად ბრუნდებოდა. დედა იძინებდა, გვერდითა საწოლი კი ცარიელი იყო. დედა ამბობდა, გადაუდებელი საქმეები აქვს და მალე დაბრუნდებოდა. დიდი დრო არ იყო გასული მისი ნათქვამიდან, რომ მამაბლის ქუჩიდან სადარბაზოსთან მანქანის მუხრუჭის ხმა

უფალ გარემოში ყოფნა იყო. მართალია, ეს თავისუფლება მოჩვენებითი ჩანდა, მაგრამ მაინც შვებას ანიჭებდა. რა ანიჭებდა შვებას? თავისმოტყუება. ანრი მიხვდა, რომ თავს იტყუებდა, მაგრამ ეს თავისმოტყუება ფიქრისთვის განაწყობდა. გარეთ მას ფიქრი თავისდაუნებლიეთ ეუფლებოდა. თითქოს მთელი მისი არსება ფიქრით იყო მოცული, სახლში კი შფოთი იპყრობდა და გონება ეხშობოდა. ჩაფიქრდა. სალამო იყო და ქვაფენილებზე ნაგრძელეული ჩრდილები წვებოდა. ქუჩა დაცარიელდა. ანრის სალამოს წუთები განსაკუთრებით უყვარდა. ამ წუთებში სოლოლაკის ბინებში წარმოუდგენელი სიმყუდროვე ისადგურებდა. მაღალჭერიანი ოთახები მოძრავი ჩრდილებით ივსებოდა. ზოგი ჩრდილი უძრავად ეკრობოდა კედელს, ზოგი კი კვლავ ცახცახებდა. იდგა ანრი და გაჰყურებდა ბოტანიკური ბაღის ქედისკენ ზურგშექცევით მდგარ სახლებს, რომელთაც ჩამავალი მზე ანათებდა მთელი ქუჩის ჩაყოლებზე. ალბათ ყველა ოთახში ეს შუქი

თელს გამოსცემდა. ასეთ დროს ეზოებიდან ქუჩაში გამოეფინებოდნენ ადამიანები და ეზოების შესასვლელთან ჩამოსხდებოდნენ. დროდადრო გაივლიდა კარგახნის უნახავი ნაცნობი და მავანს შეეძლო, მას შეხმანებოდა. ეს იყო მცირე დრო ხეობში თავშეგული ნათურების ანთებამდე. მერე კი უკვე სინათლეები იპყრობდა სოლოლაკის ჩახვეულ ჩიხებსაც კი და თავისი განათებიანად მთელი მიზანსცენა იცვლებოდა. დაბალსართულიანი სახლების ფანჯრებში ფართო მაგიდასთან მიმსხდარი მოზინადრეები ჩანდნენ. რომელ ფანჯარაშიც არ უნდა შეგეხედა, ბინაში მონრიალე სახლეულებს შენიშნავდა. მათი მუდმივი ურთიერთობა ახლა თითქოს მეტნაკლებად სააშკარაოზე იყო გამოფენილი, მაგრამ მაინც იდუმალ და უცხო კალაპოტში მიედინებოდა.

ანრი დროს ამ მონაკვეთში სავარძელში იჯდა და წიგნს კითხულობდა. ღია ფანჯრიდან სალამოს გაურკვეველი და მისუსტებული ბგერები აღწევდა. ეს წიგნი იყო



### ანდრო ბუაჩიძე ბიუსტი

შემოაღწევდა, მერე კიბის საფეხურებზე მამის ყრუ ნაბიჯები გახმინდებოდა, გასაღები გაიჩხაკუნებდა და ხანმოკლე ხმადაბალი საუბრის შემდეგ მშობლების საძინებელში სინათლე ქრებოდა. მამა... დედა ლულავდა, უკვე ყველამ იცოდა, რომ სახვებით ჩვეულებრივ, ახლობელ, უწყინარ ადამიანებს იჭერდნენ და ეს ადამიანები ღამის აჩრდილებით სწრაფად ქრებოდნენ. ისინი არ მოელოდნენ დაჭერას, ამიტომ არამცთუ ნორნამხდარნი, უფრო მეტიც — მომღიმარენი დააბიჯებდნენ წინა დღით ქუჩაში, მოულოდნელად კი გაიკვირდნენ, რომ ეს წუხელ ნანახი მომღიმარი კაცი გაუჩინარებულიყო და ამბობდნენ, რომ უკვე აღარასდროს გამოჩნდებოდა. ერთი მათი მეზობელიც ასე გაქრა და ეს ანრის კარგად ახსოვდა, ახსოვდა ამ კაცის ენერგიული ფიგურა, მისი სწრაფი მოძრაობა და მკაფიო მიმიკა. და უეცრად ასეთი კონტრასტი — „დაიჭირეს“. „დაიჭირეს“ — თითქოს ხმადაბლა, ჩურჩულით ამბობდნენ ამ სიტყვას ადამიანები. რატომ ამბობდნენ ასე ჩუმად და რატომ არ ამბობდნენ ხმამაღლა, ყველას გასაგონად, ესეც უკვირდა ანრის. იქნებ იმიტომ იქცეოდნენ ასე, რომ ჯერ უნდა გარკვეულიყო, მართლა დასაჭერი იყო ეს კაცი თუ არა და მერე უკვე ამ შემთხვევას ყველას ხმამაღლა შეატყობინებდნენ, მაგრამ არა... ვინც აქამდე დაიჭირეს, მათი ლანი უკვე გამქრალი იყო. ისინი ქრებოდნენ და მათზე ლაპარაკი თითქოს იკრძალებოდა კიდევ.

ანრი ქუჩაში შეჩერდა. ჩაფიქრდა. „ხომ შეიძლება, მამაც დაიჭიროს?“ — დაუსვა საკუთარ თავს შეკითხვა. „რა თქმა უნდა“ — პასუხობდა ვიღაც მისივე არსების სიღრმიდან. „რატომ?“ — გაისმოდა ისევ შეკითხვა. „იმიტომ, რომ განურჩევლად ყველას იჭერენ, იჭერენ ჭკვიან ადამიანებს“ — არ აგვიანებდა პასუხი. შეეყვინებულმა ერთხანს შინ დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ სწრაფადვე გადაიფიქრა. ნახვებ მიხვდა, რომ შინ დაბრუნებით ვერაფერს შეცვლიდა. უფრო მეტიც: დაბრუნება უკვე ტყვეობას ნიშნავდა. გარეთ ყოფნა თავის-

ტრიალებდა, სუსტი ნათელი ეფინებოდა სხვადასხვა ადამიანის ბედ-ილბალს, მათ წუხილს, მოლოდინს, მათ ყოფნას, მათ კედლებს და კედელზე გაკრულ ახლობლების სურათებს, რომელთა ცხოვრებამაც ოდესღაც ასეთივე სალამო აფენდა ფარდაებს. ვინ იცის, რა ხდებოდა ამ ოთახებში? იქნებ ნასალამოვებს აქაც შინსახკომის ბნელი აჩრდილი ეცემოდა სადარბაზოს და საამისო დამზაფრავი მოლოდინი აწვალბდათ ჩამავალი მზით სავსე ოთახებში. გარედან ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს ბინების შიგნით სრული სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი იყო. სიკვდილის აჩრდილი მთელ ქალაქს ეფინა და მის მიღმა უშფოთველი კუნჭულიც კი არ მოიძევებოდა. ამ ბინებში იყო მთელი ქსელი ფიზიკური, ნივთიერი ყოფნისა; აქ იყო სასტუმრო ოთახები, დერეფნები, სამზარეულოები, სააბაზანოები, სხვენები, საკუჭნაოები, აქ იყო ყველაფერი ის, რაც ადამიანს სჭირდება — ნამლები, სურსათი, წიგნები, საძინებელ ოთახებში საწოლები, გობელენები, საბნები, სარკეები, ყურთბალიშები, ღამის ნათურები, სასანთლები, ლარნაკი ჩანსუბილი იასამნები (ახლა ხომ იასამანი ჰყვავოდა) და იყო კიდევ რაღაც არანივთიერი — სულიერი, ვთქვათ, ისეთი, რასაც დუმილით უვლიდნენ გვერდს, რისი გახსენებაც არ უნდოდათ, რასაც ამ სახლებში მცხოვრები ადამიანის ტკივილი ეთქმოდა, ყველა ოჯახში სხვადასხვანაირი, ღრმად შენახული და იოლად ვერდასანახი. ჩადიოდა მზე და ანათებდა ამ ოთახებში მყოფთა სახეებს, მათ მხრებსა და ხელებს.

ასე ფიქრობდა, ასე წარმოედგინა ყოველივე ეს ანრის. ანრის უყვარდა ის წუთი, როცა უკვე სულს ღაფავდა ქვაფენილებსა და ბათქაშამოცვენილ კედლებზე მონრიალე სინათლე, როცა მზე უკვე ჩასული იყო, მაგრამ მაინც ანათებდა გარემოს. ფანჯრებში სინათლე ჩაინავლებოდა და თანდათან ბინდს ბროლის ჭაღების მკვეთრი შუქი სძლეოდა. ჭაღები ყველგან ინთებოდა და ფარდებს მიღმა მოყვითალო ნა-

თქმულება იმ ადამიანებზე, რომლებიც სადღაც შორს წავიდნენ ბედის საძიებლად და გზადაკარგულები უკვე არსებობისთვის იბრძოდნენ. ეს იყო ამბავი კაცისა, რომელსაც მეგობრები დაეღუპა და ახლა მარტო იბრძოდა შინ დასაბრუნებლად. მერე და მერე მოთხრობა უძლები შვილის ამბავს ემსგავსებოდა, სადაც კაცი მოჯამაგირედ იქცა და ნახირს უვლიდა, შინმოსული კი მამამ შეიფარა, როგორც ძე შეცდომილი.

ანრი ზოგჯერ წიგნს გადადებდა და ჩაფიქრებოდა. თვითონაც ვერ იტყოდა, რაზე ფიქრობდა. ღია ფანჯრიდან სუსტი ბგერები და ქალაქის დახშული გუგუნი აღწევდა. ანრი გრძნობდა, რომ ცხოვრება ამ შორი გუგუნით აუხსნელი და გაუგებარი იყო, შენიღბული და მოუხელთებელი. ანრი განაგრძობდა კითხვას, ეს წიგნიც თავშესაფარია, რაკი ცხოვრების მიღმა გთავაზობს ნავსაყუდელსო. კიდევ გადადებდა წიგნს და წუხდა იმის გამო, რომ დედა ადრინდელივით არ შემოუღებდა კარს და არ მიაპყრობდა მზერას. დედასაც ცუდი მოლოდინი ჰქონდა მამის გამო, მაგრამ ბავშვებს ხმამაღლა არ უტყვებოდა... ანრი ახლად გამოეფინებოდა — თურმე ამდენ ხანს ქუჩაში იდგა გახვევული და ფიქრობდა.

— რას ჩაფიქრებულხარ? — ნაპკრა ხელი ვიღაცამ. ანრიმ მაშინვე იცნო ხმით — კლასელი იყო, ქუჩურ. ქუჩურ ხშირად იცინოდა და მსხვილი კბილებს აჩვენდა. ახლაც გაიცინა. სხვა დროს თუ გულგრილად უპასუხებდა, ახლა ანრის ქუჩურს დანახვა ესაიამოვნა.

— საით გაგინვივა? — ისე ჰკითხა დაბალი ხმით ანრიმ, თითქოს თვითონაც უნდოდა გაყოლა.

— ნამოდი, — უთხრა ქუჩურმ. უთქმელად წავიდნენ ქუჩურს სადარბაზოსკენ. ანრი ადრეც იყო რამდენჯერმე ნამყოფი მასთან. ახლაც ულაპარაკოდ გაჰყვა.



მწერალი ნინო სადღობელაშვილი

ნინო სადღობელაშვილი ერთი პატარა წიგნით, მცირე ზომის რომანით, გავიცანი, „ორსული“ ერქვა და 90-იანი წლების სრულიად არეულ-დარეულ, თითქოს დასუსტებულ, მაგრამ მებრძოლ საქართველოში ხელოვანი ქალის ცხოვრებაზე მოგვითხრობდა. დიან, მთავარი გმირი, ერთი შეხედვით, სუსტი ახალგაზრდა ქალია, თუმცა ვინაა რა უნდა მოერიოს მას! მისი გმირები, ზოგადად, ასეთები არიან, თითქოს სიკვდილსიციცხლის ზღვარზე მდგარი, უმეტესად სუსტები, მონყვალდები, მაგრამ ამავე დროს, დაუძლეველი. ნინიაშიც, ამ საოცრად ნაზ ქალ მწერალში სწორედ ეს მომენტია — ძალა, ხასიათი და წარუშლელი შთაბეჭდილების მოხდენის უნარი. მიყვარს მისი შემოქმედება მღვდლის მარცვლის ეფექტით — უამრავი ადამიანის მანუგებებელი და თავის ჩრდილქვეშ შემფარებელი.

2002 წელს დაამთავრა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობით, რომელსაც ვახუშტი კოტეტიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა. 2006-ში „ინტელექტმა“ გამოცა მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროზაული კრებული „ბამბა ზიის სამოთხე“, რომლის მიხედვითაც რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ ქუთაისის ლადო მესხიშვილის დრამატულ თეატრში სპექტაკლი დადგა, ხოლო ავთო ვარსიმაშვილმა იმავე სახელწოდების მხატვრული ფილმი გადაიღო.

შემდეგ იყო ლექსების კრებულები „შულამის იავნანა“ და „ფრთები და ხელები“. პოეზიას პროზა ცვლიდა: 2013 წელს კრებული „იასანის სეზონი“ და რომანები — „ორსული“, „თავშესაფარი“ და „ნამი იქა, ნამი აქა“ გამოიცა. ნინო სადღობელაშვილი ფენოზის ჟანრის სათავედასავლო თხზულებების ავტორიცაა. მისი წიგნები „შვიდი სიღერის საიდუმლო“ და „ოქროს ხმალი“, 2015-2016 წლებში გამოვიდა და მოზარდებში დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ერთ-ერთმა მთავანამა კი თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის ჯილდო — ყი-ურის სპეციალური პრიზი და მწერალთა სახლის სახელმწიფო პრემია „ლიტერა“ მოუტანა ავტორს.

ამ წიგნებს მკითხველი უკვე იცნობდა, როცა მწერალს ინტერვიუსთვის პირველად შევხვდი. 2020-ში კი მწერლის ახალი რომანი „დაბადების დღე“ გამოიცა.

— მოდი, დავინყოთ თქვენი ბოლო რომანით. „დაბადების დღე“ გამოცემიდან მალევე მოჰყვა ძალიან საინტერესო გამოსმაურება — შეიძლება კრიტიკული წერილები ან რეცენზია ვუნოდოთ — რომელსაც თქვენს ფეისბუქგვერდზე ვკითხულობდი და არ ვიცი, სადმე დაიბეჭდა თუ არა. ერთ-ერთი გამოსმაურების ავტორი როსტომ ჩხეიძეა, თანამედროვე ქართული მწერლობის დიდი ქომაგი და გულშემატკივარი, რომლის კრიტიკული სიტყვაც ავტორებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ხოლმე, ხოლო მკითხველი ერთ-ერთი ყველაზე სანდო რეკომენდაციად მიიჩნევს.

— კი, ნამდვილად ასეა — როსტომ ჩხეიძე ის სახელია, ვისი გულშემატკივრობა და მხარდაჭერაც ნებისმიერ საქმეს აკეთილშობილებს და ძალას მატებს. მეც გამომართლა (და ეს მხოლოდ ახლა, ამ რომანის გამო არ მომხდარა, მეც და ჩემს მეგობრებსაც, ბევრი წლის წინ, ლიტერატურაში სწორედ როსტომ ჩხეიძემ დაგვილოცა გზა, ასე რომ ვთქვათ), ბატონი როსტომი ჩემი წიგნის რედაქტორია და როგორც ვიცი, მისივე თხოვნით დაინერა კიდევ ერთი კარგი წერილი, ნინო ვახანიას მიერ, რომელიც წიგნის ბოლოშია დართული. კიდევ ერთი გულშემატკივარი და „მეგზური“ უნდა ვახსენო — ირაკლი სამსონაძე, ძალიან დამეხმარა მასთან საუბრები, ამ წიგნის კონკრეტული პასაჟების მისეული აღქმა, იმის „გამჟღავნება“, რაც ხანდახან ავტორისთვის ხოლმე დაფარული. ეს იმხელა საქმეა, იმხელა ფუფუნებაა, რომ აუნონავია ჩემი მადლიერება ამ ადამიანების მიმართ.

— რომანის წერა, როგორც ვიცი, მამინ დაიწყეთ, როცა სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში მწერალთა სახლის სხვენზე ორი კვირით განმარტოვდით. ჩვენი ავტორებისთვის მწერალთა რეზიდენცია შედარებით ახალი გამოცდილებაა. თქვენ როგორ გაატარეთ ის დღეები და რამდენად დაგეხმარათ მწერალთა სახლის გარემო მუშაობაში?



— „დაბადების დღე“ პანდემიამდე დაიწყო და ნებაყოფლობით იზოლაციაში — „მწერალთა სახლში“, სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში — დასრულდა. მწერალთა სახლის სარეზიდენციო პროგრამაში, რომ იტყვიან, სულზე მომისწრო — ნიგნის ბოლო ეპიზოდებს ვწერდი, მაგრამ ჩემი — ალბათ ყველას — ცხოვრების ქაოსში, რუტინაში, მილიონ საფიქრალში კონცენტრირებას ვერაფრით ვახერხებდი. ჰოდა, ის ორი კვირა მწერალთა სახლის სხვენში არასდროს დამავინყვდებია! ნოემბერი იდგა — გარეთ, ყურისძირში იყო აქციები, ხმაური, მაგრამ სარაჯიშვილის სახლის მისტიკით, ყრუ ექოვებით აღწევდა თითქოს ის ხმებიც, აღარ მძირავდა და აღარ მთიშავდა, პირიქით, რაღაც ძალაც კი ვიგრძენი, რომლითაც ყველა ექო ამ სამყაროში სულ სხვა შუქზე დნებდა... მწერალთა სახლში, ალექსანდრე დიუმას ოთახში, ჩემს მეგობრებთან ერთად — კატო ჯავახიშვილთან, დათია ბადალაშვილთან — მოგვიანებით ქეთი ქანთარიაც შემოგვიერთდა — დიდი და გემრიელი საუბრები გვქონდა შემოქმედებაზე, ჩვენი ტექსტების ნიუანსებზე, შეგრძნებებზე, შთაბეჭდილებებზე... ამ მხრივაც უნიკალურია ეს პროგრამა და ვი-

სურვებ, მუდმივად იარსებოს და ბევრ ავტორს მისცეს ასეთი შესაძლებლობები.  
— იცით, რა მაინტერესებს, რა უდევს საფუძვლად ამ ტექსტს, საერთოდ, როდის იწყებთ ხოლმე წერას, როცა წარმოსახვაში უკვე შექმნილია ნაწარმოები თუ ის წერის პროცესში იზადება?

— იდეა რამდენიმე წლის წინ გაჩნდა, როცა ფეისბუქში ერთ უსიამოვნო ინფორმაციას გადავანყდი — სვანეთისუბნელი 14 წლის ტყუპი ძმები დაკარგულიყვნენ, მახსოვს, მთელი ფეისბუქი ორი დღე ეძებდა, ტელევიზიითაც გახმაურდა; საბედნიეროდ, ეს ამბავი მშვიდობით და მხიარულად დასრულდა — თურმე ძმები მთელი წელი ფულს აგროვებდნენ, რომ საზაფხულო არდადეგები მოეწყოთ ქობულეთში და აისრულეს კიდევ... ჩამჩა ეს „გაქცევა“, მეფიქრებოდა ხოლმე, მთლად ასე ბედნიერად რომ არ ყოფილიყო ყველაფერი, რას უნდა აეძულებინა მოზარდი ძმები, რას უნდა გაჰქცევოდნენ ან სად?! ერთ დღესაც ამ კითხვებმა ერთ დაუძლეველ ვნებაში მოიყარა თავი, ეს ვნებაა, რომ არ მოგასვენებს და მიგაბამს სანერ მაგიდას. სხვა რა გზა მქონდა — დავჯექი და დავიწყე...  
წარმოსახვა მხოლოდ კონტურებს, საბედისწერო წერტილებს და ემოციასაც გთავაზობს, დანარჩენი წერის დროს მოდის. არასდროს ვიცი, გზის დასაწყისში რო-






ნილები არიან, დევნილთა დასახლებაში ცხოვრობენ და გაუცხოებულნი ბრაზი აქვთ იმ შიშების და ტკივილების მიმართ... ძალიან დამეხმარა ჩემი უმცროსი მეგობარი — ლაზარე ჭანტურიშვილი, რომელიც ამ წიგნის წერის პროცესში ზუსტად ჩემი გმირების კილა იყო, მას ვაკითხებდი, მის რჩევებს ვისმენდი, მეხმარებოდა მოზარდების ლექსიკის ავთენტურობაში, ინტერესების გულწრფელობაში, მასმენინებდა მუსიკას, რომელსაც დღეს თინეიჯერების უმეტესობა უსმენს, მაყურებინებდა ანიმებს...

— მე მგონი ამ ასაკის ბავშვებს აქვთ დიდი პრობლემები, დიდი გეგმები, დიდი ინტერესი და დიდი სიხარულები. არაერთი თემაა, რომელიც შეიძლება შემოვიდეს და გაიშალოს ტექსტში. თქვენ როგორ შეარჩიეთ თემები რომანისთვის, ბევრზე ალბათ უარიც თქვით... სამაგიეროდ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოარჩიეთ — სიკვდილი და სიციცხლე.

— კი, ნამდვილად ასეა — უცებ უამრავი თემა წამოიშალა, იმ ტკივილების და განცდების ტალღები აგრუხუნდა, რომლისგანაც ეს ბავშვები შედგებიან, მაგრამ ყველა თემას, ცხადია, ერთ ტექსტში ვერ მოვაქცევდი, ტექსტს ამ „სიხარბისთვის“ ვერ გაენიავდი. ირიბად, მაგრამ მაინც დარჩა ბუღინგის თემა, როგორც სკოლაში, ასევე გარე სამყაროში; ირიბად შემოდის ნარკოტიკის თემა, თუმცა მთავარი მაინც სიციცხლის და სიკვდილის ის ხარისხია, რომელსაც 14-15 წლის ბავშვები განიცდიან — ამქვეყნად ყველაზე მღვრიე და ამავდროულად სუთთა, ყველაზე ნაღდი და ღვთაებრივიც კი... ტექსტი ორშრიანია და ტყუპი ძმების მონოლოგებთან ერთად ისმის კიდევ ბევრი სხვა ხმა — საგამოძიებო ოქმების და ჩანაწერების. ყველა ეს ხმაც ავთენტურია, მათ თავიანთი პრობლემები და ტკივილები შემოაქვთ, თავიანთი თემები, რომლებზეც შესაძლოა ცალკე რომანები დაიწეროს. ესაა ჩვენი ცხოვრება — უამრავი ხმა და ამ ხმებს შორის ამოზრდილი სიკვდილ-სიციცხლის საიდუმლო, რომლის გასამჟღავნებლად, დასაუფლებლად ზუსტად ის ვნება და განცდის ხარისხია საჭირო, რომელიც ყველა ჩვენგანმა 14-15 წლის ასაკში, გულის ყველაზე ღრმა უფსკრულში დავიმასხოვრეთ.

„ ამას ვეცოდით ცხოვრებას “





— რომანში ასე, კონკრეტულად, არ ასახელებთ ადგილს, სადაც ვითარდება მოვლენები, თუმცა ის ადგილი აშკარად ნეროვანის ლტოლვილთა დასახლებაა. ომში მთელი ჩვენი ცხოვრება გამსჭვალა, ის ყველგან არის — ყოველდღიურობაშიც, ხელოვნებაშიც, ლიტერატურაშიც. „თქვენს ომს“ ჩვენ ადრეც შევხვებივართ, როცა წინა ინტერვიუში „ბამბაზიის სამოთხეზე“ ვლაპარაკობდით. ახლა „დაბადების დღის“ ჯერია.

— ჰო, მე სამუდამოდ ვარ დაჭრილი ამ ომებით. ჩემი ბავშვობის საზღვართან ცხოვრება თავისი ბუნებრივი ფორმით კი არა, ომის ფორმით და ხმებით დამიხვდა და ყველაზე სამსუხაროა, რომ ეს ექსტრემალური, შემზარავი, არაკონვენციური მდგომარეობა, თავისი ახალ-ახალი გრადაციით, დღემდე გრძელდება. დღესაც ომში ვართ, გნებავთ კონკრეტული გნებავთ აბსტრაქტული გაგებით. ამ ომში იბადებიან თაობები, ჩვენ შევხვართ მათ და მათ ენერჯის, ნიჭს და შრომას დიდ საქმეს ვავალებთ — იქნებ ეს მდგომარეობა მათ მაინც გამოასწორონ... ამ გაბმულ დაძაბულობაში, ამ მუდმივ „დაბადების დღეებში“ კი შობის ვარსკვლავით ბრწყინავს ხოლმე ჭეშმარიტი დაბადების სასწაულები — ადამიანი ღმერთის, სიყვარულის, სამყაროს დაბადების წამები. ამ წამებში მარადისობა არეკლილი, მათზე დგას ჩვენი გადარჩენის სასოც.

— როგორ თანაცხოვრობენ წინა პოეტი და წინა პროზაიკოსი? რა დროს გირჩევნიათ ხოლმე პოეზიას მიმართოთ და რა დროს ირჩევთ პროზას? ეს იმაზეა დამოკიდებული, რა გაქვთ ჩვენთვის და, ალბათ საკუთარი თავისთვისაც, სათქმელი?

— წინა პოეტი დიდხანია ჩუმად და პოეზიას, როგორც სულის მდგომარეობას, ისე განიცდის, უღელქვებოდ. ხანდახან თუ მოხდება ისე, რომ ასფალტგადაკრული გზასავით, მაინც გამოტეხავს ლექსის ბალახი და ამოიყოფს მინის საიდუმლოს, ვერავითარი სხვა ფორმით და სხვა სიწყვეტით რომ ვერ იტყვი, მხოლოდ ლექსის ბალახმა რომ უნდა გააფრთხილოს, ისეთს... შესაძლოა, პროზამაც წაიღო ბევრი სალექსო ენერჯია და იმიტომ, თუმცა მაინც მუდმივად მაქვს განცდა, რომ პოეზიის გარეშე ერთი წამითაც არ ვცხოვრობ. ვკითხულობ ჩემი მეგობარი, ჩემი საყვარელი პოეტების ლექსებს, ძველ და ახალ პოეზიას, სამყარო პოეზიის ერთ შემოღობულ მუდმივად ჩემში, სიზმრებსაც მეტაფორებად ვინახავ, ამიტომ, არ მენატრება. პირიქით, ვთანაცხოვრობთ შეთანხმებული უფლებებით. როცა მე პროზისკენ გადავბრუნდები, პოეზიაც იცვლის გვერდს და იმ სამყაროს უმეტერებს თვალს, რომელსაც მე ვერ ვხედავ.

— მართალია, პანდემიის ყოველმა მორიგმა ტალღამ გადარცხანა ბევრის გეგმები, მაგრამ ჩვენ მაინც ვგეგმავთ...

— ამ ზაფხულს ახალ ნიგზე დავინყე მუშაობა. უფრო სწორად, ჯერ იდეას ნავეპარე, ფიქრში შემოვიტყუე, ვეთამაშები, ვირვევ ნელ-ნელა. ახლა მასალების დამუშავების პროცესში ვარ, ესეც საშინლად საინტერესო და ჩამორევი საეჭიოა. თანდათან იკვეთება პერსონაჟებიც... სხვა გეგმა არ მაქვს, მით უფრო, ამ პანდემიურ საგოგნოში, როცა ყველა გეგმა და ჩანაფიქრი რაღაც უმადურობადაც ჩანს უკვე. ვიცხოვრებ, ვიფიქრებ, დავწერ, მეყვარება და ვიტყობ კიდეც — ამას ვეტყვი ცხოვრებას, რაც უნდა ირონიული ლიმლით დამიქნის თავი.

— პიესაზეც მუშაობდით, ხომ? შინდისის გმირებს ეძღვნება, როგორც ვიცით. საინტერესოა, როგორ მიდიოდნენ მუშაობის პროცესი. ეს ხომ ძალიან ემოციური თემაა, ძალიან ცოცხალი, მოუნელებელი რაღაცნაირად. ძნელია ალბათ მისი გადაქცევა ლიტერატურად...

— დიახ, ეს პიესა 2008 წლის აგვისტოს ომის შინდისის ეპიზოდს ეძღვნება და მისი იდეა ერთ ძალიან კარგ და საინტერესო ადამიანს გაიჩნდა. შინდისში, ქართველი მეომრების და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჩადენილი გმირობის შესახებ დღეს მთელმა საქართველომ — და არამხოლოდ საქართველომ — იცის. ეს, უპირველეს ყოვლისა, რეჟისორის და პროდიუსერის, ედმონდ შინაშვილის, და იმ ადამიანების დამსახურებაა, წლების განმავლობაში რომ მუშაობდნენ შინდისის თემაზე, მოიძიეს უამრავი მასალა, შეხვდნენ დაღუპული მეომრების ოჯახებს... სწორედ ამ მასალაზე დაყრდნობით შეიქმნა ჯერ დოკუმენტური, მერე კი მხატვრული ფილმი, რომელმაც არაერთი საერთაშორისო პრემია მოიპოვა.

პიესის წერას ვიდრე დავიწყებდი, შინდისში ბადრი, იგივე ახმეტა ხუციშვილი შევხვდი. სწორედ ამ კაცის და კიდევ რამდენიმე შინდისელის დამსახურებაა, იმ სატიკი შეტაკების მერე 5 ქართველი ჯარისკაცი სიკვდილს რომ გადაურჩა. ეს ახმეტა ხუციშვილი სრულიად უნიკალური ადამიანია, სავესტ უბრალოებით, სახელმწიფოებრიობის ბუნებრივი და მასშტაბური განცდით.

თეატრი სხვა სამყაროა, პირობითი პირობითი, შინდისი კი ბატალური ამბავია ბევრი ქვეშითი, ამიტომ, თავიდანვე ვიფიქრეთ, რომ პიესის ფორმას უნდა განეხატებინათ ამბის სიზუსტეც და სიდიადეც. აბსურდის ლოგიკამ ყველაზე უკეთესად მოირგო ის თემები, ქვეშევრები, რაც ამ, ერთი შეხედვით, ცალსახა გმირობის ამბავს ახლავს — ჩვენი მუდმივი ისტორიულ-მენტალური ოკუპაციის, მტყუან-მართლის, ადამიანური სისუსტეების, სიყვარულის შეუძლებლობის თუ შესაძლებლობის ნიუანსები. ვფიქრობ, ასეთი ნერვით დიდი ხანია არაფერზე მიმუშავია, ამიტომ მე თვითონ ძალიან ვგულშემატკივრობ და გამიხარდება, თუ დაიდგმება. შინდისის გმირებს კი — საუკუნო ხსენება და მადლობა...

ესაუბრა თამარ შურული



დასასრული

ქუჩის მამა არქიტექტორი იყო. მის კაბინეტში სხვადასხვა ფორმის მაკეტების დათვალიერება შეიძლებოდა. კედელზე შენობათა ფასადების შავ-თეთრი ფოტოები ეკიდა. ეს გარემო იზიდავდა ანრის. როცა მათ სახლში არავინ იყო, ქუჩი და ანრი მაგიდებზე მწყობრად განლაგებულ მაკეტებს ათვალიერებდნენ. აქ სხვადასხვა დანიშნულების მინიატურული შენობები იყო გამოფენილი, იყო უცნაური კონფიგურაციის საცხოვრებელი სახლებიც. ანრი ფიქრობდა, რომ როცა ამ პატარა მაკეტის მსგავსი დიდი სახლები აშენდებოდა, იმ სახლებში ადამიანები დაბინავდებოდნენ. ეს მაკეტი ადამიანებისთვის კეთდებოდა. მაგრამ რა აზრი ჰქონდა ყოველივე ამას, თუ ამ ბინებში ჩასახლებულ ადამიანებს სრულიად უმიზეზოდ დაიჭრდნენ? თუმცა ყველას ხომ არ იჭერდნენ? ვის დაიჭრდნენ და ვის არა, ეს წინასწარ არავინ იცოდა და ამიტომაც ყველას ეშინოდა. ისევ ჩაფიქრდა ანრი, ისევ ფიქრმა წაიღო. პანია შენობებს პანია ფანჯრები ჰქონდა. ამ ფანჯრების შიგნით მომავალში ადამიანების პანია ბედისწერა გაიხლართებოდა. მზე ჩავიდოდა და გაანათებდა მათ ბედისწერას, რომელსაც თავიდანვე არა, მაგრამ მერე მაინც უხმოდ დამორჩილებოდა ყველა.

— დღეს რაღაც სხვანაირად ხარ ჩაფიქრებული, — უთხრა ქუჩიმ.

— მამაშენი სახლებს აშენებს და თვითონაც ასეთსავე სახლში ცხოვრობს, — თქვა ანრიმ. თითქოს სხვა რამის თქმა უნდოდა და მხოლოდ ეს ამოთქვა.

— აბა, სად უნდა იცხოვროს? — გაიცინა ქუჩიმ და მსხვილი, ქათქათა კბილები გამოაჩინა, — ყველა ადამიანი სახლში ცხოვრობს.

— კი, მაგრამ ხომ შეიძლება ადამიანები უმიზეზოდ დაიჭირონ და ბინაც წაართვან?

— ეგ რატომ უნდა მოხდეს? — ისე იკითხა ქუჩიმ, რომ ეტყობოდა, ეს კითხვა მასაც აწვალებდა.

— არ ვიცი, — თქვა ანრიმ.

ბიჭები „პურის მოედანზე“ რომ ჩავიდნენ, ჯერ ღამის ნათურები არ იყო ანთებული. ქალაქის იშვიათ ფასადებს ათვალიერებდნენ, მერე ქუჩიმ ერთი ეზოს რკინის ჭიშკართან მიიყვანა ანრი. „ნახე, რა ნაკეთობაა“ — უთხრა ხმად-აბლა. ანრი დიდხანს აკვირდებოდა რკინის კარის ქვედა ნაწილის ორივე მხარეს ნაჭედ წმინდა გიორგის ფიგურას. ფიგურა ორივეგან ერთნაირი იყო. გველშეპის მორკალული სხეული კი სხვადასხვანაირად გამოესახა უცნობ ავტორს. მასიურ კარს ყველაფერზე ეტყობოდა, რომ უბრალო ნაკეთობა არ უნდა ყოფილიყო. წმინდა გიორგი შუბით მუსრავდა გველშეპს.

მერე საღამოს საგრძობლად ჩამოწოლილ ბინდში დიდხანს დაბოროლოდნენ. ქუჩებში თანდათან იკლებდა ხალი. სადაც იყო ანთებული ღამის ნათურები, ქუჩი და ანრი კი შინ წასვლას არ აპირებდნენ. მათ თითქოს ერთმანეთისთვის რაღაცის თქმა სურდათ, მაგრამ არაფერს ამბობდნენ, ამიტომაც უხმოდ და უაზროდ განაგრძობდნენ ხეტიალს. მერე გადაწყვიტეს, რომელიმე ღვინის სარდაფში ჩასულიყვნენ. ეს მათთვის საკმაოდ თამაში გადწყვეტილება იყო. ჩავიდნენ კიდეც, ჩაკიდული კიბეები ჩაიარეს. სარდაფში კედლისნათურები ლიფთიფეხად და ნახევარ სარდაფს ძლივს ანათებდა. ღვინის ჭურჭლეულობაც კედლებთან მიედგათ და აქა-იქ დაბალ მაგიდებთან მიენახენი ჩამომსხდარიყვნენ. ანრის ასეთ სარდაფებში ღვინის სუნი იზიდავდა. მთელი სარდაფი ღვინის მათობელი სუნით იყო გაყვანილი. ბიჭებმა ერთი ღოქი ღვინო და საჭმელი აიღეს. იმ ასაკში იყვნენ, ბავშვად რომ აღარ თვლიან თავს. მაგიდას შემოუსხდნენ. უცხოობას გრძობდნენ, მაგრამ არ იმჩნევდნენ. ცოტა ხანში ქსოვრელების დასტა შემოვიდა, გარშემო ძველი მელიდები დაიღვარა და ბიჭებსაც უხერხულობა გაუქრათ. ლუკმა გატეხეს და ღვინის სმას შეუდგნენ. ანრი გრძობდა, რომ რაღაც ანუხებდა, იცოდა, ახლა აქ არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა. ღვინის სმით იქარებდა ნუხილს, რაც უჩვეულო იყო მისთვის.

ანდრო ბუაჩიძე  
**ბიუსტი**

„რას ავიკვირებ, რატომ უნდა ვიყო სახლში, უჩემოდაც კარგად არიან ყველანი“ — ფიქრობდა და მერე თანდათან სიმშვიდე დაეუფლა. ქუჩი მშვიდად იჯდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა. სკოლაში ცელქი იყო და დაუდგარი, ზოგჯერ კი იქაც გარინდებოდა ეუფლებოდა.

სარდაფი გარესამყაროსგან სავსებით განაპირებული იყო. გარედან აქ ვერანაირი ჩქამი ვერ აღწევდა. ეს ქუჩისა და ანრისაც ერთნაირი სიმყუდროვის განცდას უქმნიდა. ქსოვრელები დაბალი ხმით აჟღერებდნენ გაცვეთილ მელიდებს, ბიჭებს თანდათან თრობა ეროდათ და საუბრის სურვილი არ ასვენებდათ. ალაპარაკდნენ კიდეც. რაღაზე არ ლაპარაკობდნენ — ამასწინანდელ თავსხმა წვიმაზე და უეცრად მოვარდნილ ნიაღვარზე, სკოლის ეზო რომ გადაფარა; „პაცენზე“, მაღაზიებში რომ ქურდობდნენ და მერე თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ; ქალაქის უმეღებელ საათზე, რომლის ისრებიც დროს ყოველთვის მწყობრად აჩვენებდა და რომლის შეყოვნებული მუშაობის გამო შეიძლებოდა მთელი ქალაქის ცხოვრება უეცრად შეფერხებულიყო.

ქსოვრელები ერთი მაგიდის გარშემო შემოიკრიბნენ, საკრავებს აჭყვიტინებდნენ და დამწვრისას გაჰყოდნენ. იმავე სუფრიდან ორი კაცი წამოდგა და მუსიკის ტაქტს აჰყვა. ერთმანეთს ეცეკვებოდა ეს ორი კაცი, მაგრამ ტაქტს ბოლომდე ვერ აჰყოლოდა, სიმთვრალე უშლიდათ ხელს. მერე ცეკვის მსურველები სხვა სუფრებიდანაც წამოიშალნენ და მთელ დარბაზში ქაოტური ცეკვა გაჩაღდა. „რა მალე დათვრნენ, რომ შემოვედით, კაციშვილი არ იძვროდა ადგილიდან“ — ფიქრობდა ანრი — „რა კარგია, რომ არ იციან, გარეთ რა ხდება“ — ეს გაიფიქრა და მიხვდა, თვითონაც არ იცოდა, გარეთ რა ხდებოდა. ხდებოდა კი რამე? უკვე აღარც სჯეროდა, უკვე იმაზე წუხდა, შინ მისულს რა ეთქვა, რატომ შემავგვიანდაო. თითქოს წამიერად ყველაფერი თავ-თავის ადგილას დადგა.

სოლოლაკში უკვე ბინდი წვებოდა, სინათლეებიც აინთო და ქუჩებს სხვა განწყობა განეფინა. დილიდანვე გარეთ გასული ადამიანები შინ ბრუნდებოდნენ, უკვე ყველა შინ იყო, ჭაღების ნათელი გახვეული ოთახებში მრგვალი მაგიდების გარშემო ნავგვიანევად სადილობდნენ თუ ნაადრევად ვახშობდნენ, ეზოებში თუ ეზოს შესასვლელთან დედაკაცები ისხდნენ და მასლაათობდნენ. რესტორნებიდან და სამიკიტნოებიდან გახურებული ქეფის მოგუდული ხმები მოისმოდა. ის ნუთი იდგა, როცა საღამო ღამეში გადაედინებოდა და მთელ თავის ხანმოკლე ნათობას წაუცხატებდა კარგავს.


ბიჭებმა სარდაფი დატოვეს, ერთხანს გვერდიგვერდ იარეს და მერე დაშორდნენ ერთმანეთს. ანრი მიაბიჯებდა შინისაკენ და ფიქრობდა იმაზე, რომ შინ მისვლისას მას დრო ყოველთვის თავისებურად აბრკოლებდა — ან ჩვეულებრივად ადრე მიდიოდა, ან გვიან, და ყოველთვის ერთნაირად ხვდებოდა მშობლები. არასდროს უკითხვართ, რატომ დაიგვიანე ან თავის დროზე ადრე რატომ მოხვედრი. ალბათ იმიტომ, რომ უთქმელად სჯეროდათ მისი, ენდობოდნენ. ახლაც კიბე აათავა და სახლის კარი შეაღო. კარი ოდნავ გაიღო, რამაც გააკვირვა, მაგრამ არ შეიმჩნია. მთელ ბინაში უჩვეულო სინყნარე იდგა, უმცროსი და-ძმა არსად ჩანდა. სამზარეულოში გავიდა, სადაც ასევე ჩამიჩუმდი არ ისმოდა. მუშაბანდში დივანზე დედა იჯდა, ის იყო მშვიდი და გახვეული. ანრი მიუახლოვდა დედას და ასევე მშვიდად შეხედა სახეში, რადგან უკვე მიხვდა, ის რასაც ეტყოდა და დედამ უთხრა კიდეც: „დღეს დილით მამა დააპატიმრეს, პირდაპირ სამსახურიდანვე წაიყვანეს“. ანრის მოეჩვენა, რომ მთელი ცხოვრება ელოდა ამ სიტყვებს და ძალიან მოუნდა, აღარაფერი მოესმინა, წასულიყო სადმე შორს, სხვაგან, სხვა ქალაქში, სხვა ქვეყანაში, სხვა სამყაროში...

\*\*\*

ბელადის ისევ ის ბიუსტი მახსენდება, დიდებაში რომ ვნახე, თვალბეგამოცარიელებული, სახეგანათებული — ტურის კუთხეებში ჩაფენილი მისი ცინიკური ლიმლი მიდგას თვალნი...



# გურო დავითიძე სხვანაირი სიყვარულის ისტორია



სხვანაირი სხვანაირი დროს ბევრი ამბავი ნამიკითხავს. იმ ამბავს მაგარი გოგონები და ბიჭები წერდნენ პლანეტის სხვადასხვა კონტინენტზე. არ ვიცი როგორ, მაგრამ მათ გამოსდიოდნენ ისე უნერათ, მე რომ მიყვარს. ისინი ამბავს ყვებოდნენ. სულ ყვებოდნენ, გაუთავებლად. და მე არაფერი მსიამოვნებდა ისე, როგორც მათი ამბავის კითხვა, როგორც მათ მიერ შექმნილ სამყაროში ხეტიალი და იქ დარჩენა ცოტა ხნით მაინც.

კარგ ნიგნებს ერთი საოცარი ჩვევა აქვთ: გიმეგობრდებიან. და როგორც მაგანი ჩამოვივდები და უფინყარი თავგადასავლების მოსაყოლად გვერდით, ისე გესახება ორ ყდას შორის მოქცეული პერსონაჟი თვალნინ და მისი ამბავი გარს დაგტრიალებენ.

ხომ არსებობენ ნიგნები, ნაკითხვისთანავე რაღაც მოუშორებელი სევდა რომ გივადება სხეულში და აცრემლიანებულ თვალებს ხელის ზურგით მოინმენდი? რომ გწყინს დასასრული და გაგრძელების არანაირი პერსპექტივა; რომ პერსონაჟი იმდენად ახლოს გაიცანი, იმდენად ახლოს დაუმეგობრდი, აღარ გინდა ხელი გაუშვა — აღარ გინდა, ისე გამოკეტო ყდებს შორის, როგორც სამყაროს მონატრებული ჯინია გამოკეტილი შუშის ბოთლი.

კარგ ნიგნებს ხშირად უბრუნდებიან — ამბავიდან შენს თავს.

ჰო, კარგ ნიგნებს უბრუნდებიან და ხშირად ისხენებენ, რადგან ამ უმელებელ გლობუსში არაფერი უყვარს ადამიანს იმაზე მეტად, როგორც ამბავი. ადამიანი ხომ ერთი დიდი ამბავია — დაუსრულებელი და დაუმთავრებელი ამბავი.

დღეს სწორედ ასეთ ამბავზე ვწერ — დასავიწყებლად ვერ გასამეტებელ ამბავზე.

ვისაც თანამედროვე ქართული ლიტერატურა უყვარს, დარწმუნებული ვარ, თვალები აუცილმდებოდა, როცა თამთა ბელაშვილის ახალი რომანის დასტამბვის ამბავს მოკრავდა ყურს. შეუძლებელია იმ ტექსტების შემდეგ, რომელთა ნაკითხვის შესაძლებლობა ქართველ მკითხველს არც ისე შორეულ წარსულში მიეცა, ინტერესი არ გამოეწვია მისი რიგით მესამე რომანის ნიგნის მალაზიებში გამოჩენას.

სხენებული ავტორის ახალი რომანი „შაშვი შაშვი მაყვარი“ გასულ წელს „სულაკაურის გამომცემლობაში“ გამოსცა და ლიტერატურული საზოგადოება კიდევ ერთხელ ალაპარაკა. მიზეზი ბევრია. მოლოდინიც, რა თქმა უნდა, დიდი იყო.

ეს ერთი შეხედვით თხელტანიანი რომანი პატარა ქალაქში მცხოვრები ქალის, ეთეროს ამბავს გვიყვება, რომელიც რუტინული, არაფრით გამორჩეული და აუღელვებელი ცხოვრების შემდეგ რაღაც სხვა, რადიკალურად განსხვავებულ, მდგომარეობაში აღმოჩნდება. მდგომარეობაში, რომელსაც, რა გასაკვირია და, სიყვარული ჰქვია. სწორედ მას შემდეგ იცვლებ

ბა მისი შინაგანი სამყარო, ფიქრები და ემოციები, როცა აღმოაჩენს, რომ ფიქრის ობიექტი არა საკუთარი თავი, არა ხვალისდელი დღე და მომავლის უპერსპექტივობა, არამედ სხვა არის. სწორედ იმ დღიდან და იმ წამიდან მოხდა მასში აბსოლუტური ფერისცვალება, როცა ამამი დარწმუნდა; როცა მიხვდა, რომ მისი ფიქრი სხვას ეკუთვნოდა და გულიც აღარ უცემდა ისე, როგორც ძველად.

ჰო, შუახანს მიღწეულ ეთეროს პირველად შეუყვარდა.

რაც თავი მახსოვს, გამოცდილი თუ გამოცდილი მწერლები სიყვარულზე წერენ. და ისიც ხშირად უთქვამთ, ნიგნი რა ნიგნია, სიყვარული თუ არ ურევია შიგნადად მაინც. სიყვარულზე წერა არაა მარტივი ამბავი, ეს ვიცი. სიყვარულზე წერა ბუნების ხილია. შეცდომა და, სიცრუეში ხარ. არავის სჯერა შენი. არავინ უჯერებს შენი ნაფრები და ნალოლიავები პერსონაჟების გულის ფანქვალს, განცდებსა და ემოციებს. სწორედ ამიტომ, რომ ხშირად, ტექსტებთან უმრავლესობა სიცრუით გვაბრუნებს და ყოველწამს გავიძახით: მოიცა, რა! თუ სპექტაკლის რეპეტიციებზე ერთხელ მაინც ყოფილხარო, ან თუ მოგისმენიათ რომელიმე მსახიობის ისტორიები, თუ რა ხდება რეპეტიციის მიმდინარეობისას, ყველაზე ხშირად, რასაც რეჟისორი გაიძახის, იგივე სიტყვებია, რასაც მკითხველი ბუტბუტებს თავისთვის, როცა სიყვარულზე ყალბად დანერგულ ნიგნს კითხულობს: არ მჯერა! არა!

არაფერია იმაზე საშინელი, როცა უბრალოდ არ გჯერა იმის, რასაც კითხულობ.

თამთა ბელაშვილის რომანში ყველაფერი ნამდვილია: შესაშური მონოლოგიზირებული თხრობა; ოსტატურად გადმოცემული ადამიანის შინაგანი სამყარო და ფიქრები; უხეში რეალობისა და სოციალისტური რეპრეზენტაცია; და სიყვარული. სხვანაირი სიყვარული, რომლის მსგავსი, ვფიქრობ, თანამედროვე ქართულ ლიტერატურას არ ახსოვს.

რომანი ჩვენი რეალობის ლიტერატურული ილუსტრირებაა. რეალობის, სადაც ხშირად შეუძლებელია, შენი ცხოვრებით იცხოვრო, შენს ემოციებს მიჰყევ და არ იფიქრო შედეგებზე, საზოგადოების დამოკიდებულებასა და იმ აზრებზე, რომლებიც ერთი შეხედვით შენთვის უმნიშვნელო, მაგრამ პარადოქსულად მნიშვნელოვანიცაა.

ეთერო თავისი უფერული, არაფრით გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდა. მისი სისხლი ნღების განმავლობაში ზაფხულის მდინარეს მოჰგავდა — მდიდს და აუღელვებელს. ემოციებისაგან დააცილები და გამოუმრავლი დაიარაღებდა ქალაქს და ალელეების საბაბს არავინ და არაფერი აძლევდა მთელი სიცოცხლე.

თუმცა, ამ სამყაროში არაფერი ცვლის ადამიანს იმაზე მეტად, როგორც სიყვარული. და აი, ეთეროს ცხოვრებაში სიყვარული გამოჩნდა და მისი სისხლი აჩქარდა და აფორიაქდა. მეტამორფოზა, რომელიც ეთერომ განიცადა, არ იყო წამიერი მოვლენა. გადანყვებილება, რომელიც ეთერომ მიიღო, არც ის იყო აფექტის მდგომარეობისას მიღებული. ეთერომ ერთადერთი რაც გააკეთა, საკუთარი თავის გადალახვა იყო — სოციალისტური დასხლტვა, რომელიც მთელი სიცოცხლე ჯალათივით ედგა თავს. ეს იყო მისი ცხოვრებისეული სურვილისა და მოთხოვნის ძლევა შიშებზე და ადამიანებზე, რომლებიც მისთვის მეტად უმნიშვნელონი იყვნენ, მაგრამ მაინც ცვლიდნენ მის ცხოვრებას. თუმცა, შიშები, რომლებიც, რა გასაკვირია და, შემორჩა, ისევ და ისევ მისი ცხოვრებისეული მწარე გამოცდილების გამო დაჰყვა. იქ, სადაც ეთერო ცხოვრობდა, უბრალოდ არ უნდა გეცხოვრა ისე, როგორც გინდოდა.

„რა იყო ჩემი ცხოვრება, აბა, მითხარი! წამში გაიბრინა. ვინმეს რო ეთქვა, აბა, ეთერო, შენი ცხოვრება მომიყვები, რას მოყვებოდი? სიბერის გეგმას? საყვარელი რომ გავიჩინე ბოლო დღეებში, ან იქნებ მაგას? სხვის სამსახურში რო გავატარე ყმანვილქალობა? რას მოყვებოდი? სხვა რა იყო ჩემი ცხოვრება, თავგადასავალი?“

ეთეროს ცხოვრება მართლაც რუტინაში იყო ჩაფლული. არაფერი განსაკუთრებული და ამალევებელი თითქმის მთელი სიცოცხლე არ მომხდარა, არ გამოჩენილა. „იცხოვრე, რომ მოჰყვე“ მისთვის მეტად უცხო ხილი გახლდათ. მისი სხეული

სავსეა სინანულით, რომელიც თითქოსდა გაფლანგულ დროსა და ცხოვრებას დასტირის. ცხოვრებას, რომელიც არ ჰგავდა იმ ცხოვრებას, მას რომ სურდა. მონოლოგისას მუდმივად იგრძნობა ნოსტალგიური ფონი და სევდა, რომელიც ლიტერატურულად გასდევს ტექსტს და ყოველთვის გახსენებს, რომ ეთეროს სხვა ცხოვრება უნდოდა.

უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო, ვერ მოახერხა.

ბევრისთვის ალბათ ტრაგიკომიკურად უღერს ის ფაქტიც, რომ მთელი რომანის განმავლობაში ეთერო ერთადერთი სიყვარულს საყვარელს ეძახის. მას მუდმივად აქვს შეგრძნება, რომ თავის თავსა და იმ ადამიანებს ლალატობს, რომლებთან ერთადაც უნევს ცხოვრება. მისთვის ადამიანური ვნება და სიყვარული არაფერია, თუ არა დანაშაული. მას ჰგონია, რომ ის, რაც მის თავს ხდება, დასაძალია. სწორედ ეს ფაქტი უსვამს ყველაზე მეტად ხაზს იმას, რომ ეთეროს არ გააჩნია თავისი ცხოვრება. მისი ფიქრები მიჯაჭვულია სხვაზე, სხვის აზრსა და ფიქრებზე, რომლებსაც ვერ წყდება და შორდება.

ეთეროს არ აქვს სიყვარულის უფლება. თამამად შემოდის ალვინინო, რომ „შაშვი შაშვი მაყვარი“ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ტექსტია. მასში თავმოყრილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მკითხველის მხრიდან დაფიქრებასა და გადააზრებას მთელი სიმკაცრით მოითხოვს. რომანის კითხვის პროცესში ანალიზებ იმას, თუ რა ძნელია, იცხოვრო იქ, სადაც შენი „მე“ დაკარგული და გამქრალია. სადაც შენი ცხოვრება არაფერია, თუ არა შიშები და მათი დაძლევის წარმატებული თუ წარუმატებელი მცდელობები. ავტორმა შექმნა პერსონაჟი და ქურთუკივილი მოასხა მხრებზე მთელი რეალობა. რეალობა, სადაც ვცხოვრობთ და ჩვენი სურვილებისა თუ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სოციალისტური გამო, წარუმატებლად ვცდილობთ.

იმის მიუხედავად, რომ ეთეროს ცხოვრება არ აენყო ისე, როგორც უნდოდა, და დასასრულიც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორსაც ალბათ ისურვებდა, იგი მაინც იძლევა საოცარ მუხტს იმისა, რომ იცხოვრო. მკითხველი კითხვის პროცესში ანალიზებს იმას, თუ რა დიდი ძალა აქვს საკუთარი თავის გადალახვას და რა შეიძლება მოგიტანოს ამ ყოველივემ.

ადამიანმა უნდა იბრძოდოს თავისი წილი სიყვარულისთვის.

რომანი საოცარი სიმძაფრით გადმოგვცემს ამბებს და მუდმივად გვაახლოებს პერსონაჟთან. მის გონებაში ვცხოვრობთ, ვუთანაგრძნობთ, გვტკივა, გვიხარია. ეს ერთი შეხედვით თხელტანიანი რომანი ბევრ ამბავსა და ემოციას იტევს, რომელიც ყოველი ფურცლის გადაშლის შემდგომ იგრძნობა.


რატომ? იმიტომ რომ ყველაფერი ნამდვილია.

ავტორმა იმ ბუნების ხილზე, რომელიც უკვე ვახსენე, წარმატებულად გაიარა. მან სიყვარულის ისტორია დაწერა. თავბრუდამხვევი, ტკივილიანი სიყვარულის ისტორია.

და მე მჯერა ამ ისტორიის. მჯერა ეთეროსი, რომელმაც მთელი სამყარო უკან მოიტოვა და სიყვარულის ბილიკს გამოცდილი მოგზაურივით შეუყვია.

ჰო, მე მჯერა ასეთი სიყვარულის: გაბედული და დასაკარგად ვერ გასამეტებელი სიყვარულის.

# მოგზაურობა დროსა და სივრცეში



ქართული მკითხველი ელოდა ბექა ქურხულის ახალ რომანს — მწერლის, რომელიც ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, აუცილებლად შეადარებდნენ გერმანელ მარჯვენა მცველს, ერთ დროს გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის ბაიერნის კაპიტანს, ფილიპ ლამსაც კი, ისე ნაყოფიერად და სტაბილურად ირჯება ლიტერატურულ სარბიელზე — და აი, მას შემდეგ რაც მისი ბოლო ნიგნი, „სკანდარა და სხვა მოთხოვნები“ გამოიცა, ქართველი ავტორი ახალი რომანით ბრუნდება და ქართველ მკითხველს ხელახლა ალაპარაკებს.

„თვალდაკარგული ყიფჩაღის ჩანაწერი“ ანუ დეშვი-ყიფჩაღი „შარშან დასტამბა“ გამომცემლობა „ინტელექტმა“ და გამომცემლობა ნიგნის მალაზიების დახლებზე.

სხენებულ რომანში მოქმედება ორ დამოუკიდებელ ხაზად — აბსოლუტურად განსხვავებულ რეალობასა და სივრცეში ვითარდება, რომელთა გზები რომანის მიწურულს იკვეთება. ერთი ამბავი მე-13 საუკუნის შუა აზიაში გვაშოგზავნის, ხოლო მეორე — 21-ე საუკუნის დასაწყისის თბილისში.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს თავსდატეხილი მოვლენების რეფლექსია, რა თქმა უნდა, თანამედროვე ქართულ პროზაში არახალია, რასაც ერთი უმთავრესი და მოუშუშებელი მიზეზი — ტრავმა განაპირობებს. კულტურული თუ პირადი ტრავმის რეპრეზენტაცია თანამედროვე ქართული ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი გახდა 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე და ამაში, რა თქმა უნდა, არაფერია გასაკვირი. მითუმეტეს მაშინ, როდესაც აღნიშნულმა მოვლენებმა, ოთხმა ომმა და სოციალურ-პოლიტიკურმა დაძაბულობამ, საზოგადოებაში ეგზისტენციალური კრიზისი გააჩინა და ხალხთა მასები ერთი სამყაროდან, სრულიად ახალ, შეუცნობელ ვითარებაში, მოუმზადებელი დესანტით გადაისროლა.

მაგანმა რომ მკითხოს: და მაინც, რაზეა ეს ნიგნი, ბრინჯის მარცვლებით შეიძლება, დავიბნე და თავ-გაზა ამერიოს. სიყვარულზე? მარცხზე? მეგობრობაზე? უხილა/ხილულ ომზე? თუ ყველაფერზე ერთ-





თად? ან იქნებ არცერთზე? სწორედ ეს აძლევს ხიბლს ამ რომანს. დაჯექი და თავად გადამწყვეტე, რომელ ბილიკს გაუყვე გამოცდილი მოგზაურით.

ანალოგიური განცდა დამეფლა მაშინ, როცა „სამოთხიდან გაქცეულები“ წავიკითხე — ნიგნი, რომელიც იმდენად შთამბეჭდავ ამბებსა და ემოციებს გადმოსცემდა, ნამდვილად იმსახურებდა მკითხველის ყურადღებასა და სიყვარულს, რომელიც საბოლოოდ მიიღო კიდევ. თუმცა, კითხვის ნიშნები იქაც ალბათ უმრავლესობას მაინც დარჩა: და მაინც, რაზე იყო ნეტა ეს ნიგნი?!

„თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანანერები ანუ დემთი-ყივჩაღი“ ორი პერსპექტივიდან დანახული სამყაროს შესახებ გვიყვება. პერსონაჟები კი, იმის მიუხედავად, რომ რადიკალურად განსხვავებულ დროსა და სივრცეში ექივდებიან ცხოვრების სირთულეებს და სიძნელეებს, მაინც ერთ გზას, სიყვარულის გზას ადგანან. სიყვარულისა, რომელიც, ადათ-წესებისა და ხალხში ღრმად გამჯდარი სტერეოტიპების გამო, აკრძალული და მიუწვდომელია.

ტიქსტში ძალიან კარგად არის ასახული 2000-იანი წლების დასაწყისის თბილისი და იქმცხოვრები ადამიანების შინაგანი განცდები. ადამიანებისა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ დამარცხდნენ, რომლებმაც რამდენიმე წლის წინ ნააგეს ომი და როგორც დამარცხებულებს, ისე უწევთ ცხოვრების ალღევებულ ზღვარში შეცურვა, საიდანაც გამომდინარე იმდენად რთული აღმჩნდა, რომ ბევრი მძიმე ტალღებში ჩაიკარგა და ჩაიძირა. ეს ნიგნი კი მათზეა, ვინც არ ჩაიძირა, ვინც გაუძლო და ძალაგამოცლილი გამოცურდა ნაპირზე — ნაპირზე, სადაც სიცარიელე და წარსული უთევზოდ დარჩენილი მეთევზესავით იყო ჩამომდგარი.



ეს ნიგნი მიტოვებულზე, მარტოდ დარჩენილებზე და უზომოდ შეყვარებულზეზეა, რომლებიც საკუთარი ქმედებით უპირისპირდებიან ყველას და აველაფერს, ხშირად საკუთარ თავებსაც კი, და ასე ცდილობენ უხილავი ბედნიერების მოპოვებას, რომელიც ყოველთვის მიუწვდომელი და ხელუხლებელი რჩება.

წარსული და სიზმრები პერსონაჟების მუდმივი თანმდევი. ისინი ვერ ახერხებენ წარსულისაგან გაქცევას და შეუძლებელიც კია, იმდენად რთული და საზიზღარი რეალობის წინ აღმოჩნდნენ ყველანი. სწორედ წარსულისაგან გაქცევის მცდელობაა დონ ჟუანად, ანდაც ყაზბეგის ონისედ ქცეული თბილისელი ბიჭის ყველა ურთიერთობა, ყველა ფიქრი, ყველა ქმედება.

მე თუ მკითხავთ, ეს ნიგნი მაინც სიყვარულზეა. დიდ, დაუსრულებელ და აკრძალულ სიყვარულზე, რომელსაც არ აქვს საზღვრები. რომელიც იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია, ისე, უბრალოდ დასრულდეს და ჩაიფრფლოს. პერსონაჟების მთავარი მიზანი სწორედ ამ დიდი სიყვარულისკენ სწრაფვაა და სხვა არაფერი.

მათ უბრალოდ უნდათ რომ ბედნიერები იყვნენ.

„თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანანერები ანუ დემთი-ყივჩაღი“ ორ ყდას შორის მოქცეული ერთი დიდი თავგადასავალია, რომელიც საოცარ ამბებში მოგზაურობას გვპირდება და ძალიან მიხარია, რომ ეს ნიგნი აღმოჩნდა ჩემს ხელთ. მჯერა, რომ ქართულ მკითხველს ისეთივე სიამოვნება ელის წინ, როგორც მე განვიცადე კითხვის პროცესში.


აბდულა და მისი ცოლი ჰამდია ფარვანის პროვინციაში ცხოვრობდნენ. სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებული. მინის მოზრდილი ნაკვეთი ჰქონდათ და ხილის, ბოსტნეულისა და მარცვლეულის მოყვანით ირჩენდნენ თავს. აბდულა იმედიანად შეჰყურებდა მომავალს. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილმა ორი შვილი წაართვა, სამი კიდევ ეზრდებოდა, თანაც წლიდან წლამდე საქმეები კარგად მისდოდა. 15 და 16 წლის ფარუქი და ზუბაიდი მამას გვერდით ედგნენ ოჯახის საქმეებში, პატარა ზარგული კი ჯერ კიდევ დედის ხელში იძინებდა და იღვიძებდა. აბდულა ძველი ყაიღის კაცი იყო. ბიჭების სწავლის გაგრძელებაზე ბევრი არ უფიქრია და როგორც კი თოთხმეტ წელს მიაღწიეს, გვერდით დაიყენა და სასოფლო სამუშაოებში ჩართო. მისი აზრით, სწავლის გაგრძელება და ამაზე ორიენტირება ბუნდოვან მომავალს აძლევდა მის შვილებს, მის გვერდით კი რეალურ საქმეს ისწავლიდნენ, რაც ასე აუცილებელი იყო თვითგადარჩენისათვის ბრძოლის პირობებში.

აბდულას სოფელში პატივს სცემდნენ, როგორც მშრომელ და პრინციპულ კაცს. ბოლო რამდენიმე სეზონი ოჯახისთვის მოსავლიანი გამოდგა და ვაჭრობაც კარგად მიდიოდა. კოალიციური ძალების ბაზისთვის პერიოდულად მასთან ყიდულობდნენ ხილსა და ბოსტნეულს. მოსავლის ნაწილს პროვინციის დედაქალაქში ყიდა. ამის წყალობით მან დანაზოგის შეგროვება შეძლო, რომლის გამოყენებაც მისი უფროსი ვაჟის დასაქორწინებლად აპირებდა. აბდულა, როგორც თადარიგის კაცი, ხვდებოდა, ამის დროც მალე დადგებოდა.

აბდულას სოფელი შედარებით მშვიდი დასახლებული პუნქტი იყო. მკვლელობა და ყაჩაღობაც იშვიათად ხდებოდა. ერთი შეხედვით, ადგილობრივი პოლიცია კარგად მუშაობდა, თუმცა რამდენიმე თანასოფელი, მათ შორის სოფლის მოლა თალიბებთან თანამშრომლობაში იყვნენ შემჩნეულნი, მაგრამ მათ ხელს არავინ ჰკიდებდა, მათ შორის არც უსაფრთხოების სამსახური. ქრთამით საქმეების მოკვარაჩენება ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი იყო, ფულის წარმომავლობას კი დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აბდულას სმენოდა, რომ პერიოდულად, თალიბების მომხრეთა მითითებით, ზოგიერთ ოჯახს ორგანიზაციის წარმომადგენლები ფარულად სტუმრობდნენ და გადასახადებს უწესებდნენ, ფულს სძალავდნენ და მკაცრად აფრთხილებდნენ, საიდუმლოდ შეენახათ ეს ვიზიტები. მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრებაში სულაც არ იყო მოულოდნელი, რომ აბდულა თავადაც აღმოჩნდა მსგავსი ფაქტის წინაშე.

ერთ საღამოს, როდესაც აბდულა ვაჭებთან ერთად ეზოს გარშემო ახალ გალავანს აშენებდა, კაპისას პროვინციდან უცხო ადამიანები ესტუმრნენ. ძველი „ტოლიტა კოროლადან“ სამი შუა ხნის მამაკაცი გადმოვიდა, ერთ-ერთი „ა.კ. 74“-ით შეიარაღებული. მამაკაცებს ტრადიციულად ეცვათ, თავზე პაკოლები ეხურათ, ერთი შეხედვით უნიფორმის გარეშე მოძრავ პოლიციელებს ჰგავდნენ, თუმცა აბდულას ცუდი წინათგრძობა დაეუფლა. ჩვეული მისალმების შემდეგ ერთ-ერთმა მამაკაცმა აბდულა ცალკე გაიხმო, ღიმილიანი და სათნო სახით აუწყა ვინაობა და კაპისაში მოქმედი თალიბთა ჯგუფის ლიდერის — ქარიმ ბარიალის სახელით სთხოვა, ერთჯერადი შემწეობა 100 000 ავღანის ოდენობით სარწმუნოებისა და ქვეყნისათვის მებრძოლი ადამიანების მხარდასაჭერად გაეღო და სანაცვლოდ, ხელშეუხებლობას დაჰპირდა, როგორც კრიმინალთა ასევე პოლიციის მხრიდან. აბდულამ ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ მშვიდად აეხსნა სტუმრისათვის, მის ოჯახს არავინ აწუხებდა და თავადაც ერიდებოდა პრობლემებს, თანაც ამხელა თანხის გადახდის შესაძლებლობაც არ ჰქონდა. კაპისელი სტუმარი მალევე დარწმუნდა აბდულას შეუვალობაში და ნასვლის წინ მოსაფიქრებლად ერთი დღე მისცა, გაჯიუტების შემთხვევაში კი მკაცრი სასჯელით დაემუქრა...

ოჯახის მარჩენალს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. იცოდა, რომ თალიბებთან ასეთი მოქცევა პრობლემებს შეუქმნიდა, მაგრამ ფულის მიცემის შემთხვევაში ამ ხალხს თავიდან ვეღარ მოცილებდა. პოლიციისთვის რომ მიემართა, პრობლე-



გიორგი აბდუშელიშვილი

ოთახები

მაზე პრობლემა დაემატებოდა. მას მეუღლისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მტკიცე გადამწყვეტილება მიიღო, შექმნილ ვითარებას უბრალოდ გარიდებოდა. მეორედღეს ისევ იმ მანქანით მოსულ სტუმრებს ბიჭებმა ამცნეს მამის სახლში არ ყოფნა.

ამ ამბიდან მალევე ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. აღნიშნული შემთხვევის შესახებ კი აბდულას არავისთვის შეუცხობინებია, მთ უმეტეს პოლიციისთვის, ხვდებოდა რა, რომ ის უძლური იქნებოდა თალიბების წინაშე. როგორც წესი, მათ თანხისანი ყველგან ჰყავდათ, პოლიციის ორგანოების ჩათვლით. ერთ დღეს აბდულა ქალაქ ჩარიკარის ბაზარში იყო წასული, ბოსტნეული კარგ ფასად ჩაებარებინა და უკან დაბრუნების დრო რომ დაუდგა, ტელეფონზე უცხო ნომრიდან დარეკეს. უცნობი ხმა ატყობინებდა, რომ მისი ბიჭები გატაცებული ჰყავდათ და, რომ ეს იყო გადასახადისაგან თავის არიდების საფასური. აბდულა მომოსაგან ელდანაცემი შეჰპირდა უცნობს შვილების დაბრუნების სანაცვლოდ ორიოდ დღეში ფულის მიცემას, მაგრამ უცხო ხმამ ბოლომდე არ მოუსმინა. ფასი ახლა გაცილებით მაღალი იყო, რომელსაც ვერანაირად ვერ შეწვდებოდა, ამიტომ შვილები უნდა დაევიწყებინა.

თავზარდაცემული აბდულა თავის ძველ „ჰონდაში“ ჩახტა და სასწრაფოდ სოფლისკენ გაემართა. გზაში ათას რამეს ფიქრობდა. იმედს არ ინურავდა — იქნებ შვილები სახლში დამხვდნენ და ეს ყველაფერი ჩემ შესაძლებლად მოიმოქმედესო. ვარაუდობდა, რომ ამ ზარით ცდილობდნენ, იქიძულებინათ, ფული გადაეხადა. რადგან ტელეფონი მხოლოდ მას ჰქონდა, ცოლს ვერ დაურეკავდა. შინ მისულმა მინის ნაკვეთები შემოიბრინა, სახლიც მოიარა და თავისი შვილები რომ ვერ ნახა, სასტიკ რეალობაში დარწმუნდა — მისი ვარაუდები, ბიჭები ყანიდან გაიტაცეს და სად წაიყვანეს, ვის უნდა ცოდნოდა?! ვისთვის ეთქვა? ვისთვის დარეკა? იმ ავბედით უცხო ნომერზე დარეკვა შეუძლებელი იყო, რადგან ბარათი, ალბათ, უკვე ამოეღოთ ტელეფონიდან და გადაეგდოთ უსაფრთხოების მიზნით. ვისთვის შეეჩვილა? მას გავლენიანი არავინ ჰყავდა — სანათესაო, ძირითადად, მასავით მშრომელი და ღარიბი ხალხისგან შედგებოდა. პოლიციის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ გადამწყვეტა, მაინც მიემართა. რაიონის პოლიციაში აბდულას ამბავი მოისმინეს და არცთუ დამამიმდებლად შეჰპირდნენ შვილებს დაბრუნებას. რამდენიმე დღე ელოდა პასუხს პოლიციიდან. ცალკე ცოლი არ ასვენებდა ტირილთა და კითხვებით, რომელზეც პასუხები არ ჰქონდა. ცალკე ტკივილს ვეღარ უძლებდა. თავის ქალაზე მოდებული, შემანუხებელი ტკივილის გრძნობა გულიდან იღებდა სათავეს, აჩქარებით ამუშავებდა აბდულას ტვინს და დაუკავშირებელი, დანან-ევრებული ფიქრების ნიაღვარში საკუთარი თავის გაკიცხვის მეტს ვერაფერს ახერხებდა, მათ შორის ვერც თვალის მოხუჭვას, თუნდაც მცირე დროით. ბოლოს გადან-

ყვიტა, პროვინციის გუბერნატორთან მისულიყო და პირადად შეხვედროდა.

ადმინისტრაციაში აბდულა გულგრილად მიიღეს, არც გუბერნატორს შეახვედრეს, თუმცა მისი სიჯიუტის წყალობით გუბერნატორის მოადგილემ უმასპინძლა. მოისმინა მისი ისტორია, შემდეგ პოლიციაში გადარეკა და მალევე გაარკვია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას აბდულასთვის დახმარების განწევა არ შეეძლო. მოადგილემ დიდი მორიდების გარეშე გაიმეორა სიტყვები, რომელიც უკვე მოსმენილი ჰქონდა — „მიჭირს თქმა, მაგრამ უნდა შეეგუო, დაივიწყე ბიჭები“.

სახლში დაბრუნებული აბდულა ჩაიკეტა და ორი დღე შინიდან არ გამოსულა სიცივის პირას მისული. უიმედობით შეპყრობილმა არ იცოდა, რა მოემოქმედებინა. ერთი ხანობა თვითმკვლელობა უტრიალებდა თავში, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. ის სასწრაფოდ დაუკავშირდა თანასოფელს, რომელსაც მისი მინისთვის თვალის დაეღვა და დიდი ვაჭრობის გარეშე მიჰყიდა. ალბათი თანხა ვაჟის ქორწინებისათვის გადადებულ დანაზოგს მიამატა და გადამწყვეტა კაპისას პროვინციაში გადასულიყო, სოფელ-სოფელ შემოევლო მთელი მხარე და მოეძებნა ბიჭები, რომელთა „დავიწყებაც“ არ შეეძლო...

...უკვე რამდენიმე თვე იყო გასული, რაც აბდულა სოფელ-სოფელ დაეხეტებოდა ფარვანისა და კაპისას პროვინციებში და თავის შვილებს უიმედოდ დაეძებდა. ამ დროს კი ჰელმანდის პროვინციის დედაქალაქ ლაშქარ-ლაჰის ქარუბანში თალიბების თვითმკვლელთა გასრულების ლიდერის, ჰამიდ რაჰმატულას ერთ-ერთი კონსპირაციული სახლის მინისქვეშა სარდაფში, სპეციალურად მოწყობილ ოთახებში, აბდულას ორი ვაჟი კაპისადან წამოყვანილ ოთხ სხვა ბიჭთან ერთად მოეთავსებინათ, მათ მუდმივად სიბნელეში ამყოფებდნენ და ჩასწიწინებდნენ იმ „ღვთაებრივ სიკეთეებზე“, რასაც შაჰიდობა მოუტანდა მათ არაადამიანურ ყოფას. პერიოდულად ამიშვილებდნენ, ფიზიკური ძალადობის შემდეგ, ნარკოტიკების გავლენის ქვეშ მყოფი უყვავებდნენ, ცოტა ხანი ასვენებდნენ და ისევ თავიდან იწყებდნენ... ბიჭების „გმირულ“ აღსასრულამდე ორიოდ თვე-ლა რჩებოდა. მათი ბედი გადამწყვეტილი იყო და მართლაც, უსუსური მშობლების გარდა, მომკითხავი არავინ იყო, ღმერთის ჩათვლით. ამ ბნელ ოთახებს მრავალი ამისთანა მომავალი თვითმკვლელი შაჰიდის ტანჯვა-ვაება ახსოვდა და სავარაუდოდ, მომავალშიც ბევრს მოისმენდა. სწორედ ამ ოთახების გავლით ემზადებოდნენ ყველა-საგან დავიწყებული და განწირული ახალგაზრდები ამქვეყნიური ჯოჯოხეთის დატოვებისათვის...

ავღანეთში წარმოებული ოცნლიანი საბრძოლო მოქმედებები დასრულდა. 2021 წლის სექტემბრისთვის ქვეყანა დატოვა აშშ/ნატო-ს კოალიციურმა ძალებმა. ავღანეთს სრულად აკონტროლებს ორგანიზაცია „თალ-იბანი“.



### ერის კესტნერი

ყოველ წელს ...

ყოველ წელს ერთი შეკითხვა ისმის: ვიქნებით კარგად, თუ უფრო ცუდად? მოდით, ვთქვათ ღიად: სიცოცხლისთვის საშიში იყო სიცოცხლე მუდამ.

### ვოლფგანგ ბორხერტი

#### ლაგაიონის ოცნება

როცა გარდავიცვლები, მინდა, ლამპიონად ვიქცე. ვიდგე შენი სახლის წინ და უფერულ საღამოებს გინათებდე.

#### პაულ მარტი

#### მომავალი ღვაება

ნუთუ უკვე ხვალ დილით მომავალი დგება?! ნეტავ შეიძლებოდა მისი გადანევა. ისე მინდა შენთან ერთად აქ ახლაში დარჩენა.

#### ჰანს კრუპა

#### გავლით

შენი სიყვარული უბრალოდ გავლით იყო ჩემს გულში...

იქნებ მხოლოდ ერთი ღამით სჭირდებოდა თავშესაფარი...

ან იქნებ იმიტომ ჩქარობდა, რომ ეშინოდა, ნასვლა არ გადაეფიქრებინა.

#### კარგად მიხედე შენს ოცნებას

კარგად მიხედე შენს ოცნებებს, მათ გარეშე საკუთარ თავს ყიდი და ღალატობ.

აჩუქე მათ მხოლოდ საუკეთესო, ყველა სურვილი უთქმელად აუსრულე — და არასოდეს ალოდინო.

თბილი ტანსაცმელი გაუმზადე, როცა მსოფლიო ისტორიაში სამოგზაუროდ წავლენ, სადაც გაგანია ზაფხულშიც კი მათთვის ხშირად თოვს.

ნუ აქცევ შენს სულს მკვდარი სურვილების და გაფლანგული დროის სასაფლაოდ.

კარგად მიხედე შენს ოცნებებს, თორემ გაფრინდებიან და შენ ფრთებსაც თან გაიყოლებენ.



#### საპირწონე

ეს ლექსი პატარა საპირწონეა სასწორის იმ პინაზე, სადაც მუდმივად ცოტა დევს.

საპირწონე მანქანების ხმაურის, გადავსებული მისაღებების, ახალი ამბების, ჰედლაინების და შლაგბაუმების საპირწონე.

საპირწონე ესტაკადების და ბულდოზერების, გულის ინფარქტის და კიბოზე ეჭვის.

ფრთხილად ვდებ ლექსს პინაზე სხვა მსუბუქ ნივთებთან ერთად... და ერთი წამით მეჩვენება, რომ რაღაც შეიცვალა.

#### ბერტოლტ ბრეხტი

#### ბორბლის შიშვლა

გზის პირას ვზივარ. მძლოლი ბორბალს ცვლის. იქ ყოფნა არ მინდა, საიდანაც მოვდივარ. იქ ყოფნა არ მინდა, სადაც მივდივარ. მაშ რად შევყურებ ბორბლის ცვლას სულმოუთქმელად?

#### ერის ფრიდი

#### შან

სადაც არაა თავისუფლება, შენა ხარ თავისუფლება. სადაც არაა ღირსება, ღირსებაც შენ ხარ. სადაც არაა სიბორო და სიხლოვე ადამიანთა შორის, ხარ ეს სიბოროც და სიხლოვეც, უგულო სამყაროს გული.

შენი ტუჩები და შენი ენა არის შეკითხვა, არის პასუხი. შენს მკლავებსა და კალთაში სიმშვიდე სუფევს. ყველა ნასვლა შენგან კვლავ მოსვლას ნიშნავს. შენ ხარ მომავლის დასაბამი უგულო სამყაროს გული.

შენ არ ხარ ღოგმა, არც ფილოსოფია, არც დებულება და არც საკუთრება, რომელსაც ებლაუჭებიან. შენ ხარ ცოცხალი ადამიანი და ხარ ქალი.

შენ შეგიძლია, შეცდე, დაეჭვდე ან იყო კარგი უგულო სამყაროს გული.

#### ქრისტიან მორგენშტერნი

#### ოჰ, ნუ იდარდა

წითელი ცისკრის ღრუბლებიდან ყვავის ლურჯი დღე მკრთალი ნეტარებით... დროსა და სივრცეზე მაღლდება ჩემი სული შენკენ.

ოჰ, ნუ იდარდება, რომ არ ხარ ჩემთან: სინათლე ვართ ჩვენ და არის ჩემიდან შენამდე.

წითელი ცისკრის ღრუბლებიდან ყვავის ლურჯი დღე მკრთალი ნეტარებით, დროსა და სივრცეზე მაღლდება შენი სული ჩემკენ.

#### ჰილდე დომინი

#### შემოდგომის თვალბაი Herbststagen

ჩაეხუტე დედამინას. მას ჯერაც ზაფხულის სუნი ასდის, და სხეულს კი — სიყვარულის. ბალახი გაყვითლებულა შენ ზემოთ. ცივია ქარი და მოაქვს თესლები წარის. ნატვრას, უკან რომ დაგდევს, ვით ელვა სწრაფი, შენს ნატვრას აქვს შემოდგომის თვალბაი.

#### სიტყვაები

სიტყვები მწიფე ბროწეულებს ჰგავს, მინაზე ცვივა და სკდება. შინაგანი გარეთ მზებურდება, ნაყოფი გვიმხელს თავის საიდუმლოს და გვიჩვენებს თავის მარცვლებს, ახალ საიდუმლოს.

თარგმანი ქეთევან ნიკოლაძე

## ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საქართველოს მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

